619
1951/2

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# დროშა

№ 2 1951



გარეკანის პირველ გვერდზე: ყვარლის რაიონი. თვითმავალი კომბაინი კუიბიშევის სახელობის კოლმეურნეობის მინდვრებზე (ფერადი ფოტო ე. იგნატოვიჩისა);
მეორე გვერდზე: ტყვარჩელი, შახტა № 4. მოწინავე მეშახტეები ილია ნუცუბაძე და რევაზ ნემსაძე (ფოტო ბ. ჯავახიშვილისა);
მესამე გვერდზე: თბილისი. ფუნიკულიორის ზემო სადგური (ფოტო გ. რაზმაძისა);
მეოთხე გვერდზე: ხედი თებერდის ხეობაში (ფერადი ფოტო ე. იგნატოვიჩისა).



პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# დროშა
№ 2 სექტემბერი 1951

გამომცემლობა „კომუნისტი"

ყოველთვიური საზოგადოებრივ-პოლიტიკური და სალიტერატურო-სამხატვრო ჟურნალი

ეროვნული ბიბლიოთეკა



კანდიდ ნესტორის-ძე ჩარკვიანი

საბჭოთა ხელისუფლების ლენინურ-სტალინურმა ნაციონალურმა პოლიტიკამ ქართველი ხალხი სოციალური ჩაგვრისა და ნაციონალური დამონებისაგან გაათავისუფლა. ბოლშევიკური პარტიის ხელმძღვანელობით, დიდი რუსი ხალხის მუდმივი დახმარებით, ქართველმა ხალხმა თავისი მეურნეობისა და კულტურის ნამდვილ აყვავებას მიაღწია.

კ. ჩარკვიანი

## მოდის ქართული ავტომობილი

ამ დიდ სახალხო სიხარულს ახლა
ქმნის აქ ოსტატის ხელი მმართველი!—
გელადის სურათს ახედავს მაღლა
და ქართულ ფოლადს ჩარხავს ქართველი.

ახალგაზრდაა ოსტატიც, დაზგაც
და თვით ფოლადი გასაჭედავი,
მაგრამ სამთავეს, ისე ვით ვაჟკაცს,
გული აქვს მტკიცე და გამბედავი!

ფოლადს მანქანად ააწყობს დაზგა
ასი ოსტატის ხელს დანდობილი
და აი, უკვე: ასხმული ასგან
მოდის ქართული ავტომობილი!

მოდის და ვუცქერ: მანქანის გულიც
ისე ძგერს, თითქოს ჩემი გულია,—
ალბათ ერთი გვაქვს ჩვენ სიხარულიც,
დღეს აქ საერთო სიხარულია!

ისმის გუგუნი ხმააწყობილი,
ხალხის ტაში და ვაშა გაისმა!—
მოდის ქართული ავტომობილი,
მოდის, გზა მისცა მას ქუთაისმა!

და როგორც სტუმრად მოწვეულები
ჭადრის ხეები გზებზე უცდიან,
ჭიშკრებთან მდგარი ბროწეულები
წითელ ყვავილებს გადმოუწვდიან!

მოდის, მხნედ მოდის მახარობელი
და მეც ქვეყანას მინდა ვახარო,—
ვიცი რომ უცდის ყველა სოფელი,
ყველა ქარხანა, ყველა მაღარო!

და თუ მარდია მისი ბორბალი,
მისი ხმა ყველგან თუ ენატრებათ,—
იტვირთოს დოლის პურის ხორბალი,
იაროს ქართულ ჩაის საკრეფად!

აივსოს უბე ვაზის მტევნებით,
უხვი მოსავლის დროშით იაროს,
და მთებზე ქარის გამოდევნებით
გზები სიმღერით აახმიანოს!

არა, არა აქვს დრო დასვენების,
განა მას მხოლოდ მთები ელიან —
დიდი რუსეთის ვრცელი ველებიც
აწ უკვე მისი სარბიელია!

ამ დიდ სახალხო სიხარულს ახლა
ქმნის აქ ოსტატის ხელი მმართველი!—
გელადის სურათს ახედავს მაღლა
და ქართულ ფოლადს ჩარხავს ქართველი.

წინააღმდეგი ქვეყნად ომისა,
დგას ძმებთან მკლავებგადაჭდობილი.
მტკიცე ხმით ამბობს: გზა მშვიდობისა,
მოდის ქართული ავტომობილი!

კარლო კალაძე

# ქართული ავტომობილი

18 აგვისტოს ქუთაისის საავტომობილო ქარხნის მთავარი კონვეიერიდან ჩამოვიდა პირველი ქართული ავტომობილი.

ვეებერთელა საამქროდან გამოდიოდა დიდი ბელადის სურათით დამშვენებული მანქანა. მძლავრი გუგუნით მოჰყვებოდნენ მას მთავარი კონვეიერიდან ჩამოსული ახალ-ახალი ავტომობილები.

ეს იყო ინდუსტრიული ქუთაისის მშრომელთა ნამდვილი სახალხო დღესასწაული.

ზევდივართ საავტომობილო გიგანტში. მისი ზოგიერთი საამქრო თავისი მასშტაბითა ლა მოცულობით ცალკე ქარხანას წარმოადგენს. აქ ყველაზე უდიდესია მექანიკურ-ამწყობი საამქრო.

თვალს ვერ აშორებ შესანიშნავ დაზგებს. აქ 1.200-ზე მეტი დაზგა და ჩარხია.

ძნელია სიტყვით გადმოსცე ამ გიგანტური საამქროს დაზგების მუსიკა.

აგერ ძრავები მზადდება, აგერ კიდევ სიჩქარეთა კოლოფები, გადაცემათა კოლოფები, წამყვანი კბილანები, მიმყოლი კბილანები, მოტორები, ფრთები, რადიატორები, ღერძები და ვინ მოთვლის კიდევ რა!..

და ყოველივე ამას აკეთებენ უბრალო ადამიანები, გუშინდელი კოლმეურნე ახალგაზრდები, რომლებმაც აქ ისწავლეს სპეციალობა.

2.500-ზე მეტი დეტალისაგან შედგება თვითეული ავტომობილი. ახლა წარმოიდგინეთ რამდენი მილიონი დეტალი უნდა დაამზადოს ქუთაისის საავტომობილო ქარხანამ, რომ სრული დატვირთვით მუშაობის პერიოდში ყოველწლიურად გამოუშვას 30.000 ოთხტონიანი სატვირთო მანქანა— „კაზ—150“. ამასთან ერთად, ქარხანამ დამატებით უნდა დაამზადოს დეტალების დიდი მარაგი, შეასრულოს აგრეთვე საბჭოთა კავშირის სხვა საავტომობილო ქარხნების დაკვეთები მოტორებზე.

ქუთაისის საავტომობილო ქარხნის კოლექტივი საიმედო კადრებით ამაყობს. აქ გაიზარდნენ, ცოდნით დავაჟკაცდნენ და მოწინავენი გახდნენ: ბორის ვაშაკიძე, ბერო ბოჭორიშვილი, ნოდარ მაჩიტაძე, რამან ავალიანი, სერგო აბზიანიძე, ნური და ვანო სიხარულიძეები, ოთარ ბოჭოიძე, არსენა ჯორჯიაშვილი, უშანგი ანდრიაძე, ოთარ ბოლქვაძე, ძმები ბენო და მიხაკო ჟორჟოლიანები, ანდრო კიკნაველიძე და ასობით მოწინავე სტახანოველი და ინჟინერ-ტექნიკოსი.

ამ ახალგაზრდობას წლების მანძილზე მეთაურობენ და გულისხმიერი მზრუნველობით ზრდიან ქარხნის ნაცადი სპეციალისტები.

უკვე ამოქმედდა დაზგების ლეგიონი, ამოქმედდა მათი სარდალი — მთავარი კონვეიერი, საიდანაც გადმოდის ახალ-ახალ ქართულ ავტომობილთა ნაკადი. ქუთაისში გაკეთებული ავტომობილი მალე იქროლებს საბჭოთა კავშირის უნაპირო სივრცეებზე.

ქუთაისის საავტომობილო გიგანტის ამუშავება არის ჩვენი რესპუბლიკის ახალი ბრწყინვალე გამარჯვება. ქარხნის მშენებელთა კოლექტივმა ეს გამარჯვება მოიპოვა დიდი სტალინის მზრუნველობითა და დახმარებით, საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის ყოველდღიური ხელმძღვანელობით.



# სტალინური „ბრძოლა“

ორმოცდაათი წლის წინათ, 1901 წლის სექტემბერში გამოვიდა თბილისის სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციის ლენინურ-ისკრული ჯგუფის არალეგალურ გაზეთ „ბრძოლის“ პირველი ნომერი. „ბრძოლის“ შექმნის ინიციატორი და ხელმძღვანელი იყო ამხანაგი სტალინი. გაზეთის გამოსაცემად პრაქტიკულ მუშაობას ეწეოდა ამხანაგ სტალინის უახლოესი მეგობარი და თანამებრძოლი ლადო კეცხოველი.

ამხანაგი ლავრენტი ბერია თავის წიგნში „ამიერკავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების ისტორიის საკითხისათვის“ ამბობს: „როგორც ვიცით, არალეგალური რევოლუციური გაზეთის დაარსების იდეა, ამხანაგებმა სტალინმა და კეცხოველმა ჯერ კიდევ 1898 წელს წამოაყენეს; მათი მიზანი იყო რევოლუციური მარქსიზმის პროპაგანდა და „მესამე დასის“ ქართული უმრავლესობისა და მათი ლეგალურ გაზეთ „კვალის“ წინააღმდეგ ბრძოლა“.

გაზეთი „ბრძოლა“ გამოვიდა იმ პერიოდში, როდესაც რუსეთის მუშათა კლასი დაადგა თვითმპყრობელობისა და კაპიტალიზმის წინააღმდეგ აშკარა პოლიტიკური ბრძოლის გზას. მხოლოდ ცხრა თვე აშორებს ლენინური „ისკრის“ პირველ ნომერს სტალინური „ბრძოლის“ პირველი ნომრისაგან. „ისკრასა“ და „ბრძოლას“ ერთმანეთთან აკავშირებდა ღრმა იდეური ერთობა. გაზეთი „ბრძოლა“ თანმიმდევრულად ატარებდა ცხოვრებაში „ისკრის“ იდეებს.

„ბრძოლის“ პირველი ნომრის მოწინავე წერილი ეკუთვნის ამხანაგ სტალინის კალამს. ამ წერილში ამხანაგმა სტალინმა განსაზღვრა რევოლუციური სოციალ-დემოკრატიისა და არალეგალური მარქსისტული გაზეთის ამოცანები.

ამხანაგი სტალინი მიუთითებდა, რომ „ბრძოლამ“, როგორც რევოლუციური სოციალ-დემოკრატების გაზეთმა, ხელმძღვანელობა უნდა გაუწიოს მუშათა მოძრაობას, გზა უნდა აჩვენოს მას და თავიდან აცილებდეს შეცდომებს. გაზეთი რაც შეიძლება ახლოს უნდა იდგეს მუშათა მასასთან და საშუალება ჰქონდეს მუდმივად გავლენა იქონიოს მასზე, იყოს მისი შეგნებული და ხელმძღვანელი ცენტრი.

ამხანაგ სტალინის ხელმძღვანელობით გაზეთმა „ბრძოლამ“ შეურიგებელი ბრძოლა გააჩაღა მარქსიზმის უბოროტეს მტრებთან „ეკონომისტებთან“ და ყველა სხვა სახის ოპორტუნისტებთან, რომლებიც ცდილობდნენ რევოლუციური გზიდან აეცდინათ მუშათა მოძრაობა. ოპორტუნიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში უდიდესი როლი შეასრულა ამხანაგ სტალინის სტატიამ — „რუსეთის სოციალ-დემოკრატიული პარტია და მისი უახლოესი ამოცანები“, რომელიც მოწინავე წერილად დაიბეჭდა „ბრძოლის“ №№ 2-3-ში.




გაზეთ ,,ბრძოლის“ ასოთამწყობი ბ. წულაძე ესაუბრება თბილისელ პიონერებს.

ფოტო რ. აკოფოვისა

ამ სტატიაში ამხანაგმა სტალინმა კლასიკურად განავითარა იდეა მეცნიერული სოციალიზმის შეერთებისა მუშათა მოძრაობასთან, დაასაბუთა მუშათა კლასის ხელმძღვანელი როლი რევოლუციურ განმათავისუფლებელ მოძრაობაში და დასახა პროლეტარიატის დამოუკიდებელი პოლიტიკური პარტიის შექმნის ამოცანა.

ამხანაგმა სტალინმა განმარტა, რომ მუშათა მოძრაობა რუსეთში სულ უფრო და უფრო პოლიტიკურ ხასიათს იღებს, ამიტომ სოციალ-დემოკრატიის წინაშე მომწიფდა ამოცანა — გამოვიდეს პროპაგანდისტული წრეების ვიწრო ჩარჩოებიდან, გაავრცელოს თავისი გავლენა მუშათა ფართო მასაზე და წარმართოს იგი ბურჟუაზიისა და მემამულეთა ხელისუფლების დამხობისაკენ. რევოლუციურმა სოციალ-დემოკრატებმა, განაგრძობდა შემდეგ ამხანაგი სტალინი, სოციალისტური შეგნება უნდა შეიტანონ მუშათა კლასში, რადგან „ხსნა მხოლოდ მუშათა კლასშია და სოციალისტური იდეალის განხორციელებასაც მხოლოდ ეს კლასი შეასრულებს“. იმისათვის, რომ მუშათა კლასმა განახორციელოს თავისი რევოლუციური როლი, მან უნდა შექმნას ერთიანი დამოუკიდებელი პოლიტიკური პარტია, რომელიც შეკავშირებული იქნება, როგორც თავისი იდეოლოგიით, ისე ტაქტიკური პრინციპებით.

მაგრამ ამას ხელს უშლიდნენ „ეკონომისტები“, რომლებიც კმაყოფილდებოდნენ მარტო ეკონომიური ბრძოლით მეწარმეებთან. ამხანაგი სტალინი დაუნდობლად ანადგურებდა მუშათა კლასის ინტერესთა გამცემლებს, ქართველ „ლეგალურ მარქსისტებს“ და სხვა ოპორტუნისტებს, რომლებიც უარყოფდნენ მუშათა კლასის დამოუკიდებელი პოლიტიკური პარტიის შექმნის აუცილებლობას, პოლიტიკურ ბრძოლას, პროლეტარიატის დიქტატურის აუცილებლობას.

„ბრძოლა“, ისევე როგორც „ისკრა“, შეუპოვრად ეწეოდა ბურჟუაზიულ-დემოკრატიულ რევოლუციაში პროლეტარიატის ჰეგემონიის ლენინური იდეის პროპაგანდას; მოუწოდებდა მუშათა კლასისა და გლეხობის მჭიდრო კავშირისა და პროლეტარიატის ხელმძღვანელი როლის განმტკიცებისაკენ ამ კავშირში.

მაშინ, როცა „მესამე დასის“ უმრავლესობა და მისი ორგანო „კვალი“ ცდილობდნენ პროლეტარიატის კლასობრივი ბრძოლა ბურჟუაზიული ნაციონალიზმის იდეოლოგიისათვის დაემორჩილებინათ, რომ ამით ქართველი მუშები რუსეთის პროლეტარიატისაგან ჩამოეშორებინათ, სტალინურ „ბრძოლას“ მაღლა ეჭირა პროლეტარული ინტერნაციონალიზმის დროშა. იგი ქადაგებდა ამიერკავკასიის მშრომელთა მეგობრობას, აერთიანებდა ამიერკავკასიის სოციალ-დემოკრატიულ ორგანიზაციებს ლენინური ,,ისკრის‘‘ გარშემო.

ლენინური ,,ისკრა‘‘ მხურვალედ მიესალმა ,,ბრძოლის‘‘ გამოცემას. ,,ბრძოლის‘‘ პირველი ნომრის გამოსვლა ,,ისკრამ‘‘ შეაფასა როგორც დიდმნიშვნელოვანი მოვლენა.

ამხანაგ სტალინის მითითებით ლადო კეცხოველმა კავშირი დაამყარა ლენინთან და მისი დავალებით მოაწყო ,,ისკრის‘‘ ნომრების გადაბეჭდვა ბაქოს არალეგალურ სტამბაში. ბაქოს არალეგალურ სტამბაში დაიბეჭდილი ლენინურ ,,ისკრის‘‘ ნომრები და რევოლუციური ლიტერატურა ფართოდ ვრცელდებოდა არა მარტო ამიერკავკასიაში, არამედ სამხრეთ რუსეთის მთელ რიგ ქალაქებში.

სტალინურმა ,,ბრძოლამ‘‘ უდიდესი როლი შეასრულა რევოლუციური მოძრაობის განვითარებისათვის ამიერკავკასიაში. ,,ისკრის‘‘ შემდეგ იგი იყო ყველაზე უკეთესი მარქსისტული გაზეთი რუსეთში.

**დ. მაისურაძე**

## შხელდა-უშბის გმირებს

რევაზ მარგიანი

ყველაზე უფრო ვინ ხარობს ახლა,
თუ არა ჩვენი ლურჯი სოფელი,
მასპინძლად გხვდებათ მწერლების სახლთან
თქვენი ძმა მკვიდრი და მეზობელი.

დარბაზს მოესმის სუნთქვა მაგარი,
იქნება მართლა შხელდას ქარია —
თქვენს სულში ჰპოვა თავშესაფარი
და მიტომ აქაც ქარიშხალია.

თვალწინ მთებია ღრუბლის ფარაჯით,
უშბას შუბლი და შხელდას კბილები,
და აქ, სექტემბრის ამ თაკარაში
ქარით და სუსხით ჩვენც ვიყინებით.

ჩვენ გვეხატება დღე განსაცდელის,
ბნელეთში თვალებს რომ არ ნაბავდით,
ყინულის ლოდი გედოთ სასთუმლად,
ღრუბელი იყო თქვენი ნაბადი.

მაღლა, ზეცაში ვარსკვლავებს მისწვდით,
მაცნე იყავით ქვეყნიერების,
დღეს აქ ხართ, მკვიდრნო საბჭოთა მიწის
ვარსკვლავებისგან დამწვარ ხელებით.

ჩემი და თქვენი ეს სიხარული
სამშობლო მხარემ გაიზიარა...
იმ ელვით ვწერდი მეც ამ სტრიქონებს
თქვენ რომ უშბაზე გადაგიარათ.



# მოსკოვის უნივერსიტეტი

1948 წელს ამხანაგი სტალინის ინიციატივით სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ დაადგინა, ლენინის გორაკების რაიონში დაეწყოთ მოსკოვის უნივერსიტეტის ახალი შენობის აგება.

მისი მშენებლობა 167 ჰექტარ მიწის ფართობზეა გაშლილი, ოსტატ დურგლებს დასჭირდებათ 18.000 ფანჯრის ჩარჩოს გაკეთება, მშენებლობის მილსადენთა სიგრძე 2400 კილომეტრი იქნება, რაც ორჯერ აღემატება მანძილს მოსკოვიდან ყირიმამდე. მარტო იატაკის ფართობთა ჯამი 42,5 ჰექტარს გაუტოლდება, რაც დაახლოებით ფეხბურთის 50 მოედანს უდრის. ბევრს დაუჯერებლად მოეჩვენება, რომ ეს რიცხვები ეკუთვნის არა დიდ ქალაქს, არამედ ერთ სახლს—მოსკოვის უნივერსიტეტის ახალ შენობას.

უნივერსიტეტთან არსებული საერთო საცხოვრებლის პრობლემა სრულიად ახლებურად გადაწყდა. თვითეული სტუდენტი მიიღებს ცალკე ოთახს 8 კვადრატული მეტრის ფართობით, ხოლო ასპირანტი—12 კვ. მეტრიან ოთახს. პედაგოგებისა და პროფესორთა შემადგენლობისათვის დაპროექტებულია ყოველმხრივ მოსახერხებელი, რამოდენიმე ოთახისაგან შემდგარი ბინები.

ახლებურად არის გადაწყვეტილი ფუნდამენტალური ბიბლიოთეკის პრობლემაც.

1949 წლის 12 აპრილს უნივერსიტეტის ახალი შენობის ფუნდამენტში ჩასხმული იქნა ბეტონის პირველი კუბური მეტრები. აქ მოსულ მშენებლებს, არ შეეძლოთ დასაღუპად გაემეტებინათ ალუბლის ხეები, რომლებიც მომავალი მშენებლობის ფართობზე ხარობდნენ. ალუბლები სათუთად გადატანილი იქნენ უნივერსიტეტის აგრობოტანიკურ ბაღში. ისინი აქ მალე აღმოჩნდებიან მსოფლიოს ყოველი კუთხიდან ჩამოტანილ მცენარეთა უცხო სამეფოში.

მსოფლიოს სამშენებლო პრაქტიკაში მრავალსართულიანი სახლი პირველად შენდება არა კლდოვან ნიადაგზე, არამედ მიწის დრეკად ფუძეზე. საჭირო იყო მილიონობით კუბური მეტრი მიწის ამოღება. მაგრამ ეს საკითხიც ნოვატორულად გადაწყდა; ამოთხრილი იქნა მხოლოდ და მხოლოდ 16 მეტრის სიღრმის ქვაბული ისეთი ფართობით, რომ ამოღებული მიწის წონა მთელი შენობის სიმძიმის ტოლია. ამ გაანგარიშების მიხედვით შენობა არასოდეს არ „ჩაიძირება".

ცენტრალური კორპუსის პირველ 6 სართულს დაიკავებს გეოლოგიური ფაკულტეტი, მერვე და მეცხრე სართულებზე მოთავსებული იქნება რექტორატი. ეს ძალზე მოსახერხებელი ადგილია, რადგან ყოველი ჯგუფის ლიფტისათვის მერვე სართული გადასაჯდომ პუნქტს წარმოადგენს. ამიტომ აქ მოხვედრა ადვილია შენობის ყველა სართულიდან. საერთო-საუნივერსიტეტო კათედრები განლაგებულია მეშვიდე და მეცხრე სართულებზე. მეათედან მეოცე სართულამდე განაწილებულია მექანიკურ-მათემატიკური და გეოგრაფიული ფაკულტეტები, ხოლო მეოცდაერთედან მეოცდაექვსე სართულამდე მოთავსებულია მიწათმცოდნეობის მუზეუმი.

უნივერსიტეტის ცენტრალური კორპუსი სიმაღლით 235 მეტრს მიაღწევს. იგი დამთავრდება 40 მეტრიანი შპილით.

მრავალსართულიანი სახლების მშენებლობისათვის საბჭოთა ინჟინრებმა შექმნეს სპეციალური ამწე-მექანიზმები, მათ შორის გამოირჩევა ე. წ. კოშკური ამწე, რომელიც ფოლადის მკლავით იღებს და სართულს აწოდებს 15 ტონა ტვირთს.

ახლა უკვე მთავრდება უნივერსიტეტის შენობის უკანასკნელი სართულები, მთელი დატვირთვით მიმდინარეობს შენობის კედლების მოპერანგება კერამიკით. ფასადის მდიდრულად მოსართავად უკრაინა, საქართველო, უზბეკისტანი და სხვა მოძმე რესპუბლიკები გზავნიან გრანიტსა და მარმარილოს.

მუშათა 40 პროცენტს ახალგაზრდობა შეადგენს. მშენებელთა შორის გოგონებიც არიან. ახალგაზრდა მშენებელთა უმრავლესობა გულმოდგინედ ემზადება უნივერსიტეტში შესასვლელად. საამშენებლო კანტორის წინ დიდი პლაკატი ჰკიდია. ერთმეტრიანი ასოები იუწყებიან: „შემოიტანეთ განცხადება მომავალ უნივერსიტეტში მისაღებად".

**სურათზე:** მოსკოვის უნივერსიტეტის მთავარი კორპუსის ხედი (პროექტი).



ეროვნული ბიბლიოთეკა

# ორგზის გმირები

გმირთა კერაა ზუგდიდის რაიონის ერთ-ერთი უმდიდრესი და ულამაზესი სოფელი — ახალსოფელი. აქ ცხოვრობენ და მუშაობენ სახელგანთქმული ჩაის მკრეფავი, ბრიგადირი თამარ ყუფუნია და კოლმეურნეობის თავმჯდომარე ანთიმოზ როგავა.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1951 წლის 1 სექტემბრის ბრძანებულებით ისინი დაჯილდოებულნი არიან „ნამგალი და უროს“ მეორე ოქროს მედლით.



ორგზის სოციალისტური შრომის გმირები თ. ყუფუნია (მარცხნივ) და ა. როგავა (მარჯვნივ) ჩაის ნაკვეთზე.

სამი წელია, რაც ამ სახელოვან ადამიანებს მიენიჭათ სოციალისტური შრომის გმირის წოდება. მას შემდეგ ისინი ზედიზედ აღწევდნენ მაღალ მაჩვენებლებს სოფლის მეურნეობაში.

1948 წელს ბრიგადირმა თამარ ყუფუნიამ 6 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე მოიყვანა 9.057 კილოგრამი ხარისხოვანი ჩაის მწვანე ფოთოლი, 1949 წელს — 9 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე — 8.766 კილოგრამი და 1950 წელს — 9 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე — 10.271 კილოგრამი.

ჩვენი ქვეყნის მოწინავე ქალთა შორის ბრიგადირმა თამარ ყუფუნიამ პირველმა მიიღო საბჭოთა კავშირში მეორე ოქროს მედალი — „ნამგალი და ურო“.

საქართველოს 452 კოლმეურნიდან, რომლებიც დაუსწრებლად და სამუშაოდან მოუწყვეტლივ იღებენ უმაღლეს განათლებას, ერთ-ერთი პირველთაგანია ამ კოლმეურნეობის თავმჯდომარე, ანთიმოზ როგავა. იგი სწავლობს ბერიას სახელობის საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის სუბტროპიკულ ფაკულტეტზე. კოლმეურნეობაში დაულალავ მუშაობასთან ერთად, მეცნიერებას ეუფლება კომუნიზმის აქტიური მშენებელი ადამიანი.

ანთიმოზ როგავამ 1948 წელს 58 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე მოიყვანა 5.420 კილოგრამი ხარისხოვანი ჩაის მწვანე ფოთოლი, 1949 წელს — 62,2 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე 5.840 კილოგრამი და 1950 წელს — 83,8 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე 5.875 კილოგრამი.

დიდია ორგზის სოციალისტური შრომის გმირების თამარ ყუფუნიას და ანთიმოზ როგავას მიღწევები სოფლის მეურნეობაში. სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით მათი შრომითი გმირობის აღსანიშნავად უნდა დაიდგას დაჯილდოებულთა ბრინჯაოს ბიუსტები გმირთა სამშობლო სოფელში.



სურათზე: მიტინგი გურამიშვილის საფლავზე ქ. მირგოროდში. ქართველი მწერლები პოეტის საფლავზე რგავენ საგურამოდან ჩატანილ მუხის ნერგებს.

## გურამიშვილის საფლავზე

დიდი ქართველი პოეტი დავით გურამიშვილი მრავალ წელს ცხოვრობდა უკრაინაში, ქალაქ მირგოროდში. მას შემდეგ რაც აღმოჩენილ იქნა მისი საფლავი, პოეტის ხსოვნის პატივსაცემად მირგოროდში ყოველწლიურად ეწყობა ხალხმრავალი მიტინგები უკრაინელ და ქართველ მწერალთა მონაწილეობით.

საქართველოში, სურამში გარდაიცვალა დიდი უკრაინელი მწერალი ქალი ლესია უკრაინკა. მიმდინარე წლის ზაფხულში თბილისში შედგა უკრაინელ და ქართველ მწერალთა გაერთიანებული პლენუმი, მიძღვნილი ლესია უკრაინკას ხსოვნისადმი. პლენუმის შემდეგ სურამში, იმ სახლის ეზოში, სადაც ლესია უკრაინკა ცხოვრობდა, გაიმართა მიტინგი, რომელსაც ხაშურის რაიონის მრავალი მშრომელი დაესწრო.

მოძმე ხალხთა კლასიკოსებისადმი ხსოვნის პატივისცემის ეს შესანიშნავი ტრადიცია ქართველი და უკრაინელი ხალხების მეგობრობის ნათელი გამოხატულებაა. ხალხთა ასეთი დიდი მეგობრობა მხოლოდ ჩვენს სამშობლოში, სტალინის გენიით გაცისკროვნებულ საბჭოთა ქვეყანაშია შესაძლებელი.

მიმდინარე წლის 1 აგვისტოს, ქ. მირგოროდში, პოეტის საფლავზე შეიკრიბნენ მირგოროდისა და მისი ახლომახლო სოფლების მშრომელები. საქართველოდან ჩავიდა ქართველ მწერალთა დელეგაცია პოეტების ალიო მირცხულავას, ალექსანდრე გომიაშვილისა და სანდრო ეული-ქურიძის შემადგენლობით. მირგოროდში ჩავიდა აგრეთვე უკრაინელ მწერალთა დიდი ჯგუფი.

პოეტის ხსოვნის პატივსაცემად დავით გურამიშვილის საფლავზე შედგა მიტინგი, რომელიც ორივე მოძმე ხალხის მეგობრობის დემონსტრაციად გადაიქცა. ქართველ მწერალთა დელეგაციამ გურამიშვილის საფლავზე დარგო პოეტის სამშობლოდან — საგურამოდან ჩატანილი მუხის ნერგები.

## თბილისი — დიადი მშენებლობანი

სასპორტო საზოგადოება „დინამოს“ თბილისის მესამე რაისაბჭომ მოაწყო მოტოგადარბენა მარშრუტით: თბილისი — კომუნიზმის დიადი მშენებლობანი. გადარბენა გასტანს 25 დღეს. ამ ხნის განმავლობაში გადარბენის მონაწილეებმა უნდა დაფარონ 4 ათას კილომეტრზე მეტი მანძილი. ისინი დაათვალიერებენ სტალინგრადის ჰიდროელსადგურისა და ვოლგა-დონის არხის, ციმლიანსკის ჰიდროელსადგურის, სამხრეთ-უკრაინისა და ჩრდილოეთ-ყირიმის არხების, აგრეთვე კახოვკის ჰიდროელსადგურის მშენებლობებს.

მოტოგადარბენაში მონაწილეობენ: ვ. ნავროზაშვილი (გადარბენის ხელმძღვანელი), გ. ღლონტი, ი. ზედელაშვილი, ი. ზარიძე, გ. მორბედაძე, ნ. როდიონოვი, გ. გვერდწითელი, გ. აფხაზავა, მ. ფიცხელაური და უ. ჯეირანაშვილი.



სურათზე: მოტოგადარბენის მონაწილენი საქართველოს სამხედრო გზაზე. ფოტო კ. კრიმსკისა.

# რთველის დღეებში







გურჯაანის რაიონი — ზემოთ — ყურძნის მიღება გურჯაანის ღვინის ქარხანაში,—ქვემოთ— რთველი სოფ. შაშიანის ჩარკვიანის სახელობის კოლმეურნეობაში.

თელავის რაიონი — რთველი სოფ. კისისხევის ჩარკვიანის სახელობის კოლმეურნეობაში.

ფოტო რ. აკოფოვისა



# მევენახეობა-მეღვინეობის ინსტიტუტი

დოც. ს. ღურმიშიძე

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მევენახეობა-მეღვინეობის ინსტიტუტის დირექტორი



მევენახეობას და მეღვინეობას დიდი ხნის ისტორია აქვს საქართველოში. იგი მუდამ წარმოადგენდა ჩვენი ეკონომიური ძლიერების ერთ-ერთ ბურჯს. საუკუნეთა მანძილზე ქართველმა ხალხმა კულტურულ მცენარედ აქცია ველური ვაზი. მიუხედავად იმისა, რომ შემოსეულ მტრებს მრავალჯერ აუკაფავთ საქართველოს ვენახები, მაინც მოაღწია ჩვენამდე ვაზის 450-ზე მეტმა ქართულმა ჯიშმა. ქართული ვაზის ჯიშთა სიმრავლე და ნაირსახეობა გვიჩვენებს, რომ საქართველო ვაზის ერთ-ერთი სამშობლოა.

ქართველ ხალხს ძველთაგანვე შეუქმნია ვაზის მოვლა-მოშენებისა და ხარისხოვანი ღვინის დამზადების ორიგინალური წესები. ქართული ღვინო მუდამ მაღალი ღირსების იყო და ძვირფას საექსპორტო საგანს წარმოადგენდა. ცნობილია, რომ მევენახეობა-მეღვინეობას მდიდარი ტრადიცია ჰქონდა ჩვენში. ამას აღნიშნავს დიდი ილიაც გაზეთ „ივერიის“ ფურცლებზე. აი რას წერდა ჩვენი ხალხის დიდი მწერალი: „ჩვენც გვიცხოვრია, გვიმოქმედნია თავის საკვებად, ჩვენშიც ყოფილა ხელობა და ოსტატობა მიწათმოქმედებისა, და თუ ჩვენი ნაცხოვარი, ნაკეთარი და ნამოქმედარი მეცნიერებამდე არ აგვიყვანია, ანგარიშში ჩასაგდები, გამოსაძიებელი და გამოსაკვლევი ხომ არის, როგორც ნაცადი დიდი ხნისა, როგორც მრავალი წლის მოღვაწეობით შემოწმებული საქმე და საქმიანობა“.

მევენახეობა-მეღვინეობის დარგში, ილიას თქმით ,,მრავალი წლის მოღვაწეობით შემოწმებული საქმე“ დიდხანს უყურადღებოდ იყო ჩვენში. იგი მხოლოდ საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ იქცა მეცნიერული კვლევის **საგნად.**

ოქტომბრის რევოლუციამდე საქართველოს მხოლოდ საქარის მევენახეობა-მეღვინეობის საცდელი სადგური ჰქონდა. 1925 წელს სოფელ ვაზისუბანში ჩამოყალიბდა მევენახეობის საცდელი სადგური, ხოლო 1931 წელს თბილისში დაარსდა მევენახეობა-მეღვინეობის საკავშირო სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტი, რომელიც 1932 წლიდან გადატანილი იქნა თელავში. ამჟამად იგი საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის სისტემაში შედის.

ინსტიტუტი აერთიანებს საქარის საცდელ სადგურს, ვაზისუბნის ექსპერიმენტულ ბაზას და შვიდ დასაყრდენ პუნქტს — გორის, ბოლნისის, ახალციხის, ამბროლაურის, ჩოხატაურის, ზუგდიდისა და გუდაუთის რაიონებში. მის საცდელ ბაზას წარმოადგენს საცდელი სადგურების, დასაყრდენი პუნქტებისა და თვით ინსტიტუტის ტერიტორიაზე გაშენებული მდიდარი საკოლექციო ვენახები, ამჟამად 900-ზე მეტი ვაზის ჯიშია შეგროვილი ინსტიტუტის კოლექციაში.

ყურძნის მოსავლის გადიდებისა და მისი ხარისხის გაუმჯობესების ერთ-ერთ ძირითად პირობას ვაზის ფორმირებისა და დატვირთვის სწორი განსაზღვრა წარმოადგენს. საქართველოს ბოლშევიკების ხელმძღვანელმა ამხანაგმა კანდიდ ჩარკვიანმა განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია ამ საკითხს. საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1950 წლის 13 ოქტომბრის პლენუმზე გაკეთებულ მოხსენებაში, მან ასე განაცხადა: „საჭიროა დაინერგოს გასხვლის ისეთი წესი, რომელიც უზრუნველყოფს ვაზის სანაყოფე კვირტებით დატვირთვის გადიდებას. ეს გაზრდის ყურძნის მოსავალს“.

ხანგრძლივი ცდებისა და დაკვირვების შემდეგ ინსტიტუტი მივიდა იმ დასკვნამდე, რომ ახალნარგავ ვენახებში ქართული სხვლის წესი ორმხრივი შპალერით უნდა შეიცვალოს, ვაზის დატვირთვა კი 25—28 კვირტამდე უნდა იქნეს აყვანილი. იმ შემთხვევაში, თუ ვაზი 3 კვადრატული მეტრის საკვებ არეზეა დარგული და ძლიერი ზრდით ხასიათდება, იგი უნდა ისხვლებოდეს უფრო ძლიერი დატვირთვით, როგორიცაა ორმხრივი კორდონი, ორმხრივი ორსართულიანი შპალერი და მრავალსანაყოფოიანი ფორმები. ვაზის გასხვლის გავრცელებულ ქართულ წესთან შედარებით ამ ფორმების შემოღება 35—50 პროცენტით გაადიდებს ყურძნის მოსავალს.

ინსტიტუტმა მიმდინარე წელს შეადგინა ინსტრუქცია, თუ როგორ უნდა გაისხლას ვაზი ახალი დატვირთვით. ამ ინსტრუქციის საფუძველზე, რომელიც განხილული და მოწონებულია საქართველოს სსრ ტექნიკური კულტურების სამინისტროს მიერ, წელს საქართველოში გაისხლა 10 ათასზე მეტი ჰექტარი ვენახი.

ინსტიტუტმა და მისმა ქსელმა დიდი მუშაობა გასწიეს ადგილობრივი და უცხო ქვეყნის ვაზის ჯიშების შესასწავლად და მათგან ახალი ჯიშების გამოსაყვანად. გამოვლინებულია მაღალმოსავლიანი და ხარისხოვანი ყურძნის ჯიშები — ჩიტისთვალა, ქისი, გრძელმტევანა, წითელი ბუდეშური და სხვ.

ვაზის ახალი ჯიშების გამოყვანა მიჩურინის მეთოდებით წარმოებს. განსაკუთრებული ყურადღება ექცევა მშობელთა წყვილის სწორად შერჩევას და ახალგაზრდა ჰიბრიდული ნათესარების აღზრდას. შესაჯვარებელი ფორმების შერჩევით და გეოგრაფიულად დაშორებული ფორმების შეჯვარებით ინსტიტუტმა მიიღო ვაზის 30-ზე მეტი ახალი ჯიში, რომელთაგან აღსანიშნავია საადრეო, ქართული მუსკატი და სახალხო თეთრი. სალვინე ჯიშებიდან გამოირჩევა მთის ვაზი.

ვაზის ახალი ჯიშები წარმატებით გამოჰყავს აგრეთვე საქარის საცდელ სადგურს, სადაც შამპანიურის წარმოებისათვის მიღებულია მეტად საყურადღებო ჰიბრიდები: ციცქა × შარდონე, ციცქა × მუხრანული, ქვიშხური × მუხრანული და სხვ.

საქართველოს მაღალმთიან რაიონებში მევენახეობის გასავითარებლად ინსტიტუტმა გააშენა საადრეო ვაზის ჯიშთა საცდელი ვენახები. ცდების შედეგად გამოირკვა, რომ სამრეწველო ვენახების გაშენება შეიძლება ზღვის დონიდან 1.200—1.300 მეტრ სიმაღლეზედაც. ამის შესაბამისად საქართველოს მრავალ, მაღალმთიან რაიონში უკვე შენდება სამრეწველო ვენახები.

დიდი ყურადღება ექცევა ორგანული, მინერალური და მწვანე სასუქების გამოყენებას მევენახეობაში. დადგენილია სასუქების ღრმად შეტანის ეფექტიანობა. ვილიამსის მოძღვრების საფუძველზე ინსტიტუტი სწავლობს, თუ რამდენად შეიძლება გამოყენებულ იქნას მევენახეობაში ნათესბალახიანი სისტემა.

გამოკვლეულია საქართველოს სხვადასხვა ტიპის ღვინოების ქიმიური შედგენილობა და ორგანოლეპტიკური ხასიათი. დადგენილია ისტორიულად ცნობილი, ბუნებრივად ცქრიალა ღვინოების—ატენურის, ჩხავერის, ალადასტურის, ტვიშის, აგრეთვე ბუნებრივად ტკბილი და ნახევრადტკბილი ღვინოების — ხვანჭკარის, ოჯალეშის და ქინძმარაულის ტექნოლოგიური რეჟიმი, შემუშავებულია მეთოდები მათი ხარისხის გასაუმჯობესებლად.

განსაკუთრებული ყურადღება ექცევა საქართველოს მევენახეობის ძირითადი რაიონების ნიადაგისა და ჰავის შესწავლას.

მნიშვნელოვანი სამუშაოებია შესრულებული ღვინის ბიოქიმიის დარგში. შესწავლილია საღებავ და მთრიმლავ ნივთიერებათა ფიზიოლოგიური აქტივობა, გამოკვლეულია ღვინის ტექნოლოგიაში ანტოციანების და ტანიდების გარდაქმნა, ვაზის დამჟანგველი ფერმენტები და მათი როლი მეღვინეობაში. დადგენილია მეღვინეობის ნარჩენებიდან კატახინების მიღების მეთოდები, ვაზის მწვანე ნაწილებიდან ღვინისმჟავას მიღების წესი, დაჟანგული ტანინის როლი კონიაკის დამწიფების საქმეში და სხვ.

ინსტიტუტმა და მისმა ქსელმა დიდი მუშაობა ჩაატარეს მოწინავე მევენახეთა გამოცდილების შესასწავლად. საქართველოს მევენახეობის 10 ძირითად რაიონში შესწავლილი იქნა ყველა მოწინავე მევენახის მიღწევები და მუშაობის მეთოდები. მასობრივი გამოკვლევის ჩატარებამ გამოამჟღავნა მევენახეობის აგროტექნიკის მრავალი ისეთი ღონისძიება, რაც დღემდე ნაკლებად ცნობილი იყო პრაქტიკაში და ამა თუ იმ ბუნებრივ პირობებში აუცილებელი აღმოჩნდა. წარჩინებულ მევენახეთა გამოცდილების გამოყენება სხვა აგროღონისძიებებთან ერთად ხელს უწყობს ყურძნის უხვი მოსავლის მიღებას და საკოლმეურნეო დოვლათის გადიდებას.

ინსტიტუტი ხშირად გზავნის კოლმეურნეობებში მეცნიერ-თანამშრომელთა ბრიგადებს მოხსენებათა ციკლის ჩასატარებლად. უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში მან დაამზადა და გამოსცა 20-ზე მეტი მეცნიერულ-პოპულარული ბროშურა მევენახეობა-მეღვინეობის სხვადასხვა საკითხზე.

ინსტიტუტის სისტემაში 55 მეცნიერი თანამშრომელი მუშაობს. მათ შორის 25 მეცნიერული ხარისხის მქონეა. ინსტიტუტთან არსებულ ასპირანტურაში ამჟამად 7 ასპირანტი სწავლობს, ხოლო ინსტიტუტის მეცნიერ თანამშრომელთაგან 4, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის დოქტორანტია.

ინსტიტუტის მიღწევებს ცალკე შრომებად აქვეყნებს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია. სამეცნიერო კვლევითი მუშაობის შედეგები ქვეყნდება აგრეთვე საბჭოთა კავშირის სამეცნიერო ჟურნალებში.

მევენახეობა-მეღვინეობის ინსტიტუტის მუშაობაში ძირითად ნაკლად ჩაითვლება საწარმოო ცდების არამასობრივი ხასიათი და არსებულ მიღწევათა სუსტად დანერგვა წარმოებაში. ამ ნაკლოვანებათა გამოსასწორებლად დიდი დახმარება გასწიეს საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ. მათ დადგენილებათა საფუძველზე საცდელ ვენახთა ფართობი კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში 1.000 ჰექტარამდე ავიდა. ახლა უფრო მაღალ საფეხურზეა აყვანილი სამეცნიერო-კვლევითი მუშაობა მევენახეობა-მეღვინეობის დარგში. ინსტიტუტის კოლექტივი მომავალშიც ენერგიის დაუზოგავად იშრომებს ჩვენი ქვეყნის სოფლის მეურნეობის მნიშვნელოვანი დარგის, — მევენახეობა-მეღვინეობის შემდგომი ზრდა-განვითარებისათვის.

# მშრომელთა თეატრი

**ირ. ციციშვილი**

აკაკი წერეთლის სახელობის ჭიათურის თეატრის შენობა, რომლის ავტორია არქიტექტორი კ. ჩხეიძე, მდებარეობს ქალაქის ცენტრში და მთავარი ფასადით ახალ მოედანზე გამოდის. შენობა გადაწყვეტილია მსხვილსა და ლაკონიურ ფორმებში. მაღალ, რუსტებით დამუშავებულ ცოკოლზე, რომელსაც ქვის ფართო კიბეები და შეწყვილებული სარკმლები აცოცხლებენ, აღმართულია მძლავრი, მონუმენტური და კარგი პროპორციების შემცველი, პორტალური თაღი, რომლის სიღრმეში, მთავარი შესასვლელის კედელზე არის სამი, უფრო მცირე და ასევე კარგად გამოყვანილი თაღი.

თაღების საპირეები ისევე, როგორც ფრონტონის დამაგვირგვინებელი ლავგარდანი, სასიამოვნო შთაბეჭდილებას სტოვებენ თავისი კარგი ნახატითა და შესრულებით.

აღსანიშნავია ფასადზე ჩვენი მრავალფეროვანი ბუნებრივი ქვების მარჯვე გამოყენება. ავტორი კარგად გრძნობს მასალასა და ფერს და პოულობს თვითეულისათვის სათანადო ადგილს. ოქროსფერი ბოლნისის ტუფი, რომლითაც მოპერანგებულია ფასადი, მოყვითალო-თეთრი ეკლარის ქვა თაღის შიდაპირზე და კურსების ნაცრისფერი გრანიტი ცოკოლზე მშვენივრადაა შერწყმული ერთმანეთთან. ეს შერწყმა ქმნის სასიამოვნო, რბილი კოლორიტის სურათს, რომელსაც აცოცხლებს ჩაქსოვილი გრანიტის ლავგარდანი, თაღის საპირე, ორიგინალური ჭედური ვიტრაჟები და თუჯის მოაჯირები.

უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ავტორმა მიაღწია ბუნებასთან არქიტექტურის კარგ ჰარმონიას. შენობის მკვეთრი, მოხდენილი ფასადი კარგად მოჩანს კლდეებისა და ხშირი მცენარეულობის ფონზე.

ფასადის არქიტექტურას ამდიდრებს მასში ორგანიულად ჩართული ორი ქანდაკება: ცენტრალური თაღის ქვეშ საკუთარ კვარცხლბეკზე მოთავსებულია დიდი ქართველი მგოსნის აკაკი წერეთლის ბრინჯაოს მშვიდი და მონუმენტური ნაკვთი. მეორე, ჩვენის აზრით, შენობის მასშტაბისათვის რამდენადმე მცირე ქანდაკება, აგვირგვინებს ფრონტონს და „გამარჯვების ზეიმს“ გამოხატავს. ექსპრესიითა და პათოსით სავსე ქალის ნაკვთში გამოსახულა ხალხის ზეიმი ისტორიული გამარჯვების გამო. ამ ხალისიან და უეჭველად მაღალმხატვრულ ნაწარმოებში ახლებური ჟღერა მიიღეს მსოფლიო რეალისტური ქანდაკების საუკეთესო ნიმუშებმა ამ თემაზე.

ორივე ქანდაკების ავტორმა, ვ. თოფურიძემ კიდევ ერთხელ გამოავლინა თავისი მრავალმხრივი ნიჭი, დიდი შემოქმედებითი ძალა და მაღალი ოსტატობა.

თეატრს მარტივი და დახვეწილი გეგმა ახასიათებს. მთავარი დარბაზი, რომელიც ექვსას მაყურებელს იტევს, საზეიმო იერს ატარებს, თუმცა მას გარკვეული და უეჭველად სასურველი მყუდროებაც ახლავს. დარბაზის ფორმა უზრუნველყოფს კარგი ხედვისა და აკუსტიკის პირობებს და ამავე დროს დაკავშირებულია ადგილების კარგ განლაგებასთან. მთლიანი, ამფითეატრულად განლაგებული სავარძლები, კარგი ფორმის გვერდითი ლოჟები გაერთიანებულია ერთიანი მოცულობის კომპოზიციაში. ინტერიერში მეტად უხვადაა გამოყენებული ეროვნული ფორმები და მოტივები. აღსანიშნავია სცენის პორტალის რთული და მდიდარი ჩუქურთმით შემკული ჩარჩოები. კარების, ლოჟების და დარბაზის კედლების გასაფორმებლად გამოყენებულია ქართული ჭედური ხელოვნების და ხელნაწერთა მორთულობის ნიმუშები. ერთიან სტილში გადაწყვეტილია მცირე ფორმები — სანათურები, ლამპიონები და სხვ. მაგრამ დარბაზის გაფორმებაში პირველყოვლისა ყურადღებას იპყრობს მისი პლაფონის ფერწერა, რომლის კომპოზიციისა და შესრულების ავტორია მხატვარი რ. სტურუა. ეს დიდი საზეიმო ხასიათის კომპოზიცია გამოხატავს საქართველოს მთიანეთში გამარჯვების დღესასწაულს და საბჭოთა მონუმენტური ფერწერის თვალსაჩინო ნაწარმოებია. ავტორმა სიცოცხლით სავსე მრავალნაკვთიან ნაწარმოებში მიაღწია ერთიან, სუფთა და თბილ კოლორიტს, რომელიც პირველი შეხედვისთანავე ხიბლავს მაყურებელს და იწვევს მასში ჯანსაღ ემოციებს. გაბედულად შესრულებულ თვითეულ პერსონაჟს თავისი მკვეთრი ინდივიდუალობა და სახე აქვს, ამეტყველებულია ყოველი მცირე, მაგრამ გაწყობილებით შესრულებული დეტალი.

ხუროთმოძღვრის, მოქანდაკისა და მხატვრის ორგანული შემოქმედებითი კავშირი უპასუხებს საბჭოთა ხელოვნების წამყვან პრინციპს — ხელოვნებათა სინთეზს. ქანდაკება თუ ფერწერა ანვითარებს თავის საკუთარ თემას და, ამავე დროს, მჭიდროდ უკავშირდება შენობის არქიტექტურას, ამდიდრებს, ხსნის მის იდეურ შინაარსს. ამ მხრივ ჭიათურის თეატრის შენობის მაგალითი საყურადღებოა ჩვენი ხელოვნების ოსტატებისათვის.

დასასრულს უნდა აღინიშნოს, რომ ჭიათურის მარგანეცის ტრესტის კაპიტალური მშენებლობის მუშათა კოლექტივმა ღირსეულად განახორციელა ხუროთმოძღვრის ჩანაფიქრი, რასაც მოწმობს როგორც სამშენებლო სამუშაოთა, ისე მოპირკეთების მაღალი დონე. ჭიათურის თეატრის შენობის ავტორის, არქიტექტორ ჩხეიძის, მხატვრის რ. სტურუას და მოქანდაკე ვ. თოფურიძის ნამუშევრები აღინიშნა სტალინური პრემიით.



ჭიათურის თეატრის შენობის ფასადის ხედი.



რ. სტურუა.
ქიათურის თეატრის
პლაფონი „გამარჯვება“.
(დეტალი)

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა



ვ. თოფურიძე — გამარჯვება

# სწავლა, სწავლა და სწავლა

ნათელ, მზიან, კარგად მოწყობილ შენობებში დაიწყეს მეცადინეობა ჩვენი ქვეყნის მოსწავლეებმა და სტუდენტებმა. მათ დახვდათ ახალი მერხები, მაგიდები, დაფები, დახვდათ ახალი ხელსაწყოიარაღებით და ლიტერატურით შევსებული კაბინეტები, ლაბორატორიები და ბიბლიოთეკები. ბევრგან კი ჩვენი მოსწავლენი წელს პირველად შევიდნენ სამეცადინოდ ახლახან აგებულ მშვენიერ სასკოლო შენობებში, რომელთა რიცხვი წლითიწლოპით იზრდე ბა.

დადგა სასწავლო წელი. სასწავლებლებს მოაწყდა სწავლის მწყურვალთა დიდი ნაკადი. ათიათასობით ახალგაზრდა შევიდა ჩვენი რესპუბლიკის სკოლებში, ტექნიკუმებში, ინსტიტუტებში, უნივერსიტეტში, სამხატვრო აკადემიაში. კერძოდ, სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, რომელიც სპეციალისტთა კადრების უდიდესი სამჭედლოა, წელს მიიღეს 1070 ახალგაზრდა. ათასობით ახალგაზრდაა ჩარიცხული საქართველოს პოლიტექნიკურ, სასოფლო-სამეურნეო, თბილისის სამედიცინო და რკინიგზის ტრანსპორტის ინჟინერთა ინსტიტუტებში, სამხატვრო აკადემიაში და სახელმწიფო კონსერვატორიაში. რესპუბლიკის ყველა კუთხიდან მოვიდნენ ახალგაზრები, რომ დაეუფლონ მეცნიერებას.

საბჭოთა ახალგაზრდობა შეუნელებელ ინტერესს იჩენს სწავლისადმი. ამას ადასტურებს წლევანდელი საკონკურსო გამოცდებიც საქართველოს უმაღლეს სასწავლებლებში.

წინა წლებში შედარებით ნაკლები წარმატების მქონე ბევრმა ახალგაზრდამ გამოასწორა აკადემიური ჩამორჩენა და გამოცდებზე გვიჩვენა საკმაო ცოდნა და მომზადება. მაგალითად: საშუალო სკოლაში სწავლის დროს დამაკმაყოფილებელ და კარგ ნიშნებს იღებდნენ გივი გამრეკელი, ნელი ფილიაშვილი, ედიშერ გიორგაძე, ნანა ჭიჭინაძე, ზურაბ კიკნაძე, ელენე ჩაჩიბაია, გიორგი იორდანიშვილი და მანანა ლორთქიფანიძე. ზაფხულის პერიოდში ამ ახალგაზრდებმა გულმოდგინედ იმეცადინეს და სასურველ შედეგსაც მიაღწიეს. სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში მისაღებ გამოცდებზე მათ ხუთები მიიღეს ყველა საგანში.

მისაღები გამოცდები კარგად ჩააბარეს აგრეთვე რაიონებიდან ჩამოსულმა ახალგაზრდებმა: დავით კაკაბაძემ, ალექსანდრე ბურდულმა, გურამ კორძაძემ, დავით ბექაურმა, ლამარა ფაღავამ, ზაირა დევდარიანმა, თინა ავსაჯანიშვილმა, გიორგი ნაკაშიძემ, ნოდარ ბერაიამ და მრავალმა სხვამ. ისინი დამსახურებულად იქნენ ჩარიცხული უნივერსიტეტის სხვადასხვა ფაკულტეტებზე. მათ წინაშე, ისე როგორც თვითეული საბჭოთა ახალგაზრდის წინაშე, დასახულია ერთი მთავარი ამოცანა — სწავლა, სწავლა და სწავლა.

პირველ სექტემბერს პირველად შედგეს ფეხი სკოლებში შვიდი წლის ასაკის ბიჭუნებმა და გოგონებმა. თბილისის ვაჟთა პირველ საშუალო სკოლაში წელს პირველად მოვიდა პირველ გაკვეთილზე: ვასილ მჭედლიშვილი, თამაზ გოცირიძე, თეიმურაზ თევდორაძე, ზურაბ ნატროშვილი, თეიმურაზ გურგენიძე, ავთანდილ კერძაია და კიდევ მრავალი ბედნიერი ბავშვი. მორცხვად, დინჯად მიუსხდნენ ისინი მერხებს, სულგანაბული ისმენდნენ მასწავლებლის დარიგებას საბავშვო ბაღებიდან მოსული მალხაზები. მათ სამშობლოსადმი კიდევ უფრო ღრმა სიყვარულს ჩაუნერგავს მშობლიური „დედა ენა'', მეგობრად გაუხდება ქართული წიგნი. ამ ცქრიალა ბავშვებმა ჯერ კიდევ არ იციან წერა-კითხვა, მაგრამ კარგად იციან დედის კალთაში ნასწავლი ლექსი:

აყვავდი, ტურფა ქვეყანავ,
ილხინე, ქართველთ მხარეო.
და შენც, ქართველო, სწავლითა
სამშობლო გაახარეო.

წკრიალა ხმით წარმოთქვამენ ამ შესანიშნავ სიტყვებს ჩვენი ქვეყნის ბედნიერი ბავშვები, რომელთა გმირობა ხუთებზე სწავლაა. კომუნისტური სულისკვეთებით აღზრდიან მათ გამოცდილი მასწავლებლები. წავლენ წლები, და ისინიც კულტურის მწვერვალებს დაეუფლებიან მშრომელი ხალხის საკეთილდღეოდ. ბეჯითი სწავლით გაახარებს მშვიდობისმოყვარე სამშობლოს ცოდნის შეძენით გატაცებული საბჭოთა ახალგაზრდობა.

ვ. ნიჟარაძე



# ქართველი ხალხი ხმას აძლევს მშვიდობას













მშვიდობა შენარჩუნებული და განმტკიცებული იქნება, თუ ხალხები მშვიდობის შენარჩუნების საქმეს თავიანთ ხელში აიღებენ და ბოლომდე დაიცავენ მას.

**ი. სტალინი**







**სურათებზე:**—(ზემოდან ქვემოთ): საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი ალ. ჯანელიძე, სტალინის სახელობის თბილისის ორთქლმავალ-ვაგონების შემკეთებელი ქარხნის სტახანოველი მექვაბე ი. მაჩაიძე, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი ნ. მუსხელიშვილი, სოციალისტური შრომის გმირი შ. ჩხაიძე, სოციალისტური შრომის გმირი ი. ქავთარაძე, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი პროფ. ნ. ყიფშიძე.

ქვემოთ: კონფერენციის დარბაზში. ცენტრში: კონფერენციის პრეზიდიუმი.

მარჯვნივ, ზემოთ: კონფერენციის დელეგატები ხელს აწერენ მოწოდებას.

ქვემოთ: კონფერენციის დელეგატების ჯგუფი რუსთაველის სახელობის თეატრის საკონცერტო დარბაზის ფოიეში.



## მშვიდობის ვახტზე

**ილო მოსაშვილი**

მშვიდობის დაცვის საქართველოს კომიტეტის თავმჯდომარე

მშვიდობის მხოფლიო საბჭოს მოწოდებაზე ხელმოწერა ქართველი ხალხის შემოქმედებითი შრომის შემდგომი ალმავლობით აღინიშნა.

ჩვენი რესპუბლიკის ფაბრიკა-ქარხნებსა და მაღაროებში, საკოლმეურნეო მინდვრებზე, კავკასიონის მაღალმთიან სოფლებიდან დაწყებული კოლხიდის აყვავებულ ციტრუსოვან ბაღებამდე კომუნიზმის გმირი მშენებლები მშვიდობის სტახანოვურ ვახტზე დგანან.

განსაკუთრებული ენთუზიაზმით მუშაობენ სამგორის არხის მშენებლები, რომლებიც უახლოეს ხანში გაუშვებენ არხში უდაბური ველის გამაცოცხლებელ იორის წყალს.

— ჩვენი ხელმოწერა მრისხანე გაფრთხილებაა ამერიკულ-ინგლისელ ომის გამჩაღებლებისადმი. დიე, ჩვენმა თავდადებულმა შრომამ კიდევ უფრო განამტკიცოს ჩვენი საყვარელი საბჭოთა ქვეყნის ძლიერება! — განაცხადა წნორის მანქანა-ტრაქტორთა სადგურის ტრაქტორისტმა ამხ. ვასილ ბაკაშვილმა და მეორე დღესვე, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 12 ჰექტარისა, 20 ჰექტარი მიწა მოხნა.

სიღნაღის რაიონის სოფ. ანაგის ჩხუბიანიშვილის სახელობის კოლმეურნეობამ სახელმწიფოს 600 ცენტნერი ყურძენი ჩააბარა და ვალდებულება აიღო დამატებით კიდევ ამდენივე ჩააბაროს.

მოწოდებაზე ხელმოწერის დროს ცხაკაიას რაიონის სოფელ ფოცხოს კოლმეურნეობის ბრიგადირმა ამხ. ქარჩავამ ვალდებულება იკისრა გეგმის გადამეტებით 50 ათასი კილოგრამი მაღალხარისხოვანი ჩაის ფოთოლი ჩააბაროს სახელმწიფოს; ხოლო ზუგდიდის რაიონის ახალსოფლის კოლმეურნეობის ბრიგადირმა სოციალისტური შრომის გმირმა ამხ. ლ. ჯოჯუამ ამ დღის აღსანიშნავად 19 ტონა ჩაის ფოთოლი ჩააბარა გეგმის ზევით და პირობა დადო მოსავლის აღების დამთავრებამდე ასეთივე გადამეტებით მოკრიფოს მაღალხარისხოვანი ჩაის ფოთოლი.

რუსთავის გამოჩენილი კალატოზის ამხ. გ. მაისურაძის ახალი ჩქაროსნული მეთოდი კედლების აყვანისა ერთიორად აჩქარებს და აიაფებს აგურის წყობას. მაისურაძემ თავისი გამოცდილება არაერთ ახალგაზრდა მუშას გაუზიარა. დღეს იგი მშვიდობის ვახტზე დგას და დღიურ ნორმებს ორჯერ და სამჯერ გადაჭარბებით ასრულებს.

ამ ისტორიულ დოკუმენტზე ხელმოწერამ ასე ერთსულოვნად დარაზმა თავდადებული შრომისათვის ქართული ავტომანქანის მშენებლები და მეფოლადეები ქალაქ ქუთაისსა და რუსთავში, ბამბეულის ქსოვილის ახალგაზრდა ოსტატები გორში, სახელოვანი ჭიათურელი მემაღაროენი, ტყიბულისა და ტყვარჩელის მეშახტეები, რომელნიც ყოველდღიურად ათეული ტონობით ძვირფას მადანს უკვე მომავალი წლის ანგარიშში აძლევენ ჩვენს ქვეყანას.

მათი შრომითი მაჯისცემა უერთდება ვოლგისა და დონის ნაპირებზე, ყარაყუმის უდაბნოსა და უზბოის გვალვისაგან თეთრად ამომწვარ, მარილიან კალაპოტში მოგუგუნე თვითმავალ ექსკავატორებისა და ბულდოზერების შეუნელებელ გუგუნს.

საბჭოთა ხალხს სწამს დიდი სიმართლე ლენინ-სტალინის პარტიისა, რომელმაც შრომაში და ბრძოლაში გამარჯვება ასწავლა მას, უსაზღვროდ უყვარს ჩვენი სამშობლოს ყველა გამარჯვების სულისჩამდგმელი, მშვიდობის დიდი მედროშე—ამხანაგი სტალინი!

ქართველ ხალხსაც, საბჭოთა კავშირის ყველა ხალხთან ერთად მტკიცედ სწამს, რომ მშვიდობა გაიმარჯვებს ომზე.



ფოტო ელ. გინზბურგისა და რ. აკოფოვის

ეროვნული ბიბლიოთეკა

# თბილისელ ფეხბურთელთა წარმატება







სურათზე: წრეში — სსრ კავშირის სპორტის დამსახურებული ოსტატი — გუნდის უფროსი მწვრთნელი ი ა კ უ შ ი ნ ი.

ქვემოთ — „დინამოს“ თბილისის გუნდი მოედანზე თამაშის დაწყების წინ.

თამაშის ერთ-ერთი მომენტი.

მიმდინარე წელს ფეხბურთის „ა“ კლასის გუნდების საკავშირო პირველობის გათამაშების დამთავრებამდე რამდენიმე ხნით ადრე გადაწყდა პირველი ადგილის ბედი.

პირველ ადგილზე გამოვიდა „ცდსა“.

მეორეზე — თბილისის დინამოელები.

თბილისელმა ფეხბურთელებმა 28 შეხვედრიდან მოიგეს 15, ფრედ დაამთავრეს 7 და წააგეს 6. მათ მიერ გატანილი და მიღებული ბურთების შეფარდებაა 59:36, ქულათა რაოდენობა—36. შარშანდელ წელთან შედარებით, გუნდმა საკავშირო პირველობის გათამაშების ცხრილში ერთი ადგილით გადაინაცვლა წინ.

მან უკან მოიტოვა ჩვენი ქვეყნის ისეთი ძლიერი და პირველობისათვის ბრძოლაში გამოწრთობილი კოლექტივები, როგორიცაა მოსკოვის სასპორტო საზოგადოება ,,დინამოსა‘‘ და ,,სპარტაკის‘‘ გუნდები, ასევე უკან ჩამოიტოვა შეჯიბრებაში მონაწილე სასპორტო საზოგადოება ,,დინამოს‘‘ დანარჩენი გუნდები.

სასახელო წარმატებაა!

თბილისელმა დინამოელებმა განსაკუთრებული სიძლიერით ჩაატარეს შეჯიბრების პირველი ნახევარი: 14 შეხვედრიდან მოიგეს 8, დაამარცხეს ჩვენი ქვეყნას ჩემპიონი ,,ცდსა‘‘—ანგარიშით 2:0, მოსკოვის ,,სპარტაკი‘‘ — (3:1), ლენინგრადის ,,დინამო‘‘ (3:1) და „ზენიტი“ (2:1),მოსკოვის ,,ტორპედო‘‘ (5:0) და რიგის ,,დაუგავა‘‘ (1:0). ფრედ დაამთავრეს ოთხი შეხვედრა და დამარცხება განიცადეს მხოლოდ ორჯერ:— მოსკოვის სასპორტო საზოგადოება ,,დინამოსთან‘‘ (0:2) და სტალინოს ,,შახტიორთან‘‘ (0:4).

პირველ წრეში თბილისის დინამოელებმა მოაგროვეს 20 ქულა, გატანილი და მიღებული ბურთების საუკეთესო შეფარდებით 34:15. იგი პირველი წრის ბოლო შეხვედრამდე ინარჩუნებდა ლიდერობას, მაგრამ „შახტიორთან‘‘ დამარცხების შემდეგ მას ერთი ქულით გაუსწრო საბჭოთა არმიის ცენტრალური სახლის გუნდმა.

შედარებით ნაკლებშედეგიანი იყო გათამაშების მეორე წრე. ამის უმთავრეს მიზეზს წარმოადგენდა ის, რომ მთელ რიგ საპასუხისმგებლო შეჯიბრებებში ავადმყოფობის გამო მონაწილეობას არ იღებდნენ ისეთი ძლიერი მოთამაშეები, როგორიც არიან: დაცვაში—ძიაპშიპა, სარჯველაძე და მარღანია, თავდასხმაში ჯოჯუა და თოდრია. უკანასკნელი სამი შეჯიბრება თბილისის ,,დინამომ‘‘ მისთვის ჩვეული ოსტატობით ჩაატარა და გამარჯვებული გამოვიდა კუიბიშევის ,,კრილია სოვეტოვთან‘‘ (3:2), კიევის სასპორტო საზოგადოება ,,დინამოსთან‘‘ (2:1), ხოლო სტალინოს ,,შახტიორთან‘‘ ფრედ დაამთავრა შეხვედრა (1:1). ამრიგად, სამი შეხვედრიდან მოაგროვა ხუთი ქულა. ამით მან მტკიცედ დაიკავა მეორე ადგილი საკავშირო პირველობის გათამაშების ცხრილში.

„ა“ კლასიდან გამოყვანილი იქნება სამი გუნდი: მოსკოვის ,,ვმს‘‘, თბილისის ,,სპარტაკი‘‘ და გორკის „ტორპედო‘‘, რომლებმაც გათამაშების ცხრილში დაიკავეს მე-13, მე-14 და მე-15 ადგილი.

1951 წლის საკავშირო პირველობისათვის ბრძოლა ფეხბურთში დამთავრებულია.

თბილისელ ფეხბურთელებს გადაეცათ მეორე ხარისხის დიპლომი და ვერცხლის ჟეტონები.

მოსკოვის, ლენინგრადის, კიევის, კუიბიშევის და სტალინოს სტადიონები ყოველთვის სავსეა მაყურებლებით, როცა იქ თბილისის დინამოელები თამაშობენ.

როცა თბილისელები საბჭოთა კავშირის პირველხარისხოვან გუნდებს საკუთარ სტადიონზე ხვდებიან, ტრიბუნაზე მრავლად იხილავთ არა მარტო ჩვენი რესპუბლიკის შორეული კუთხეებიდან, არამედ მოსკოვიდან, კიევიდან, ბაქოდან და ერევნიდან ჩამოსულ მაყურებლებს.

მაგრამ მარტო სტადიონზე მყოფნი როდი ადევნებენ თვალყურს მათ თამაშს: მოკავშირე რესპუბლიკებისა და ჩვენი რესპუბლიკის თითქმის ყოველ ქალაქსა და სოფელში, საბჭოთა მეურნეობებში, მშენებლობებზე, აგარაკებზე, სასპორტო მოედნებზე ასიათასობით ფეხბურთის მოყვარული იყრის თავს რადიოაპარატებთან და მოუთმენლად ელოდება კომენტატორის ნაცნობ ხმას.

თბილისის დინამოელები თავისი ტემპიანი და კომბინაციური თამაშით დიდ სიამოვნებას განაცდევინებენ მაყურებელს: ხშირად მოვხიბლულვართ მარღანიას მოხდენილი, ელვისებური ნახტომით, ძიაპშიპას, ანთაძისა და პანიუკოვის მოუქანცავი თამაშით, ღოღობერიძის, ჯოჯუას და თოდრიას მოულოდნელი გაჭრით მოწინააღმდეგის კარისკენ...

წინანდელ სეზონებთან შედარებით, წელს სასპორტო საზოგადოება „დინამოს“ თბილისის ფეხბურთელთა გუნდმა გაბედულად დააწინაურა ნიჭიერი ახალგაზრდები. მრავალ შეჯიბრებაში ისახელეს თავი ნახევარდამცველმა კილაძემ, თავდამსხმელებმა: გაგნიძემ, ჭკუასელმა და მეკარე კიტიამ.

თბილისელი მაყურებლები წელს მოწმენი იყვნენ ბევრი შეუპოვარი, თავბრუდამხვევი და მომხიბვლელი თამაშისა, რომელთაგან განსაკუთრებით გამოირჩეოდა დინამოელთა შეხვედრა ჩვენი ქვეყნის ჩემპიონთან,—მოსკოვის „ცდსას“ გუნდთან. ამ შეჯიბრებამ გვაჩვენა, რომ ფეხბურთის თამაშის საბჭოთა კლასი განუხრელად იზრდება, რომ საბჭოთა ფეხბურთელები წლითიწლობით ამაღლებენ თამაშის ტექნიკას. საბჭოთა ფეხბურთის დიდოსტატებს გაბედულად უდგანან მხარში ნიჭიერი ახალგაზრდები.

ოთხმოცდაათი წუთის განმავლობაში შეუპოვარი ბრძოლა მიმდინარეობდა მწვანე მოედანზე. ბურთი ხან თბილისელთა, ხან მოსკოველთა კართან ჩნდებოდა. ბოლოს კი გამძლეობითა და სისწრაფით სძლიეს დინამოელებმა და „ცდსას“ მოთამაშენი საკუთარ კართან მიაჯაჭვეს. „ცდსას“ ყველა მოთამაშე უკლებლივ დაცვის ზონაში მოქმედებდა, მაგრამ თბილისის დინამოელებმა თავბრუდამხვევი შეტევით მაინც ორჯერ აიღეს „ცდსას“ კარი...

პრესამ ეს შეხვედრა შეაფასა, როგორც „დიდი ფეხბურთი“, რომელიც მდიდარი იყო ფეხბურთის საბჭოთა კლასისათვის დამახასიათებელი კომბინაციური და ტემპიანი თამაშით.

ვიმედოვნებთ, რომ სასპორტო საზოგადოება ,,დინამოს‘‘ თბილისის ფეხბურთელთა გუნდი თვითკმაყოფილებას არ მიეცემა, ახლავე შეუდგება მზადებას და წვრთნას მომავალი წლის შეჯიბრებისათვის. ამით იგი შესძლებს მოპოვებული წარმატების განმტკიცებას და ახალი გამარჯვების მიღწევას.

**ა. ადამია**

ეროვნული ბიბლიოთეკა



თ. აბაკელია

მარქს - ენგელს - ლენინის ინსტიტუტის საქართველოს ფილიალის შენობის ფრიზი—ბარელიეფის დეტალები.



წრეში: მარქს - ენგელს - ლენინის ინსტიტუტის საქართველოს ფილიალის შენობის ხედი.



ეროვნული
ბიბლიოთეკა



გიგო გაბაშვილი

სადარაჯოზე (1898)



# მისი სურათის გმირი

მოთხრობა

მიხეილ მრევლიშვილი

ნახატები ალ. ბანძელაძისა

როდესაც ახალგაზრდა მხატვარი ქალი, მაგდა ხირსელი რკინიგზის ქალაქის სადგურში ბილეთს იღებდა, მას აზრადაც არ მოსვლია, რომ გაზაფხულის მზიანი დღე ავდრიანი ღამით შეიცვლებოდა.

სადგურიდან გამოვიდა თუ არა, ქალაქის საბჭოს საათს ახედა. ისრები ათის ნახევარს უჩვენებდნენ. მაისის ჯერ კიდევ საამო მზე სითბოთი ავსებდა ბერიას მოედანს, ხოლო ბელურების მხიარული ჟივილ-ხივილი, პუშკინის სახელობის პატარა სკვერიდან, სასიამოვნოდ ხვდებოდა ყურს.

ფართო მოედანი მისთვის ჩვეულ სასიცოცხლო რიტმში ჩაბმულიყო. მანქანების ქარავნები ხოჭოებივით გარბოდნენ მოედანზე და ქუჩის ხვეულებში იკარგებოდნენ. დინჯად მიფარფატებდნენ მოკრიალებულ ასფალტზე მგზავრებით დატვირთული ტროლეიბუსები და ავტობუსები. მიჰქროდნენ პირსავსე საბარგო მანქანები. ფართო ფილაქნები ველარ იტევდა ხალხს. დიდი თუ პატარა, ქალი თუ კაცი, ამ საერთო მდინარებას მისცემოდა

ახალგაზრდა ქალი ყურადღებას არ აქცევდა ჩვეულ ჟრიამულს. ფიქრებში გართული მაგდა ვერც კი გრძნობდა დიდი ქალაქის მაჯისცემას. ის, თავისდა შეუმჩნევლად ხარბად ეწაფებოდა მაისის დილის მაცოცხლებელ ჰაერს. ალმაცერად აკვირდებოდა ახლად ამწვანებული ჭადრების სინაზეს და გულგრილად დაჰყურებდა ხის ტოტებში შემოპარულ და ფილაქანზე დაღვრილ მზის სხივებს.

მატარებლის გასვლამდე დაახლოებით ხუთიოდე საათი დრო რჩებოდა. ეს სრულიად საკმარისი იყო ყველა იმ წვრილმანის მოსაგვარებლად, რომელიც მუდამ თავს იყრის მგზავრობის წინ. სახლში მოსულმა ქალმა ნავაჭრი მაგიდაზე დააწყო, ტანთ გადაიცვა, მოძებნა ტყავის სამგზავრო ჩანთა და ბარგს ჩალაგება დაუწყო.

ტყავის ტანმომცრო ჩანთაჩქარა მოიპირა ქალისთვის აუცილებელი წვრილმანით. კაბები, ხალათები, მარმაშივით თხელი წინდები მწყობრად ჩალაგდა თავთავის ალაგას. მაგიდაზე ესკიზებისთვის განკუთვნილი ალბომი და ფანქრები დარჩა. მაგდამ თვალი შეავლო ამ ნივთებს და წუთით შეყოყმანდა. შუბლზე ნაოჭი აეკეცა, მერე წამოდგა და შუშაბანდში გავიდა.

დილის სინათლით სავსე შუშაბანდი ახალგაზრდა მხატვრის სახელოსნოს წარმოადგენდა. სახელოსნოში შესულმა ქალმა ცივად გადახედა ურიგოდ მიყრილ ესკიზებს და გატეხილი ნაბიჯით მიუახლოვდა კუთხეში მიდგმულ დიდ სურათს. ზეწარი ჩამოხსნა და ტილოს დახედა. ვიღაც უცნობი ვაჟკაცის უსიცოცხლო თვალები გულგრილად შეჰყურებდნენ მას.

მაგდას ტუჩებში რაღაც მწარე, ორჭოფული ღიმილი გაკრთა. სახეზე სიფითრემ გადაუარა. მან უნდოდ მიმოავლო თვალი სახელოსნოში გაფანტულ სურათებს და ოთახში შებრუნდა. პირგახსნილი ჩანთის წინ სკამზე ჩამოჯდა და ჩაფიქრდა.

ახლოვდებოდა სადიპლომო შრომის ჩაბარების ვადა. მაგდა ხირსელისაგან სასწავლებელი კარგ ნაშრომს მოელოდა. პროფესურა, პარტიული ორგანიზაცია, კომკავშირი და სტუდენტობა დარწმუნებული იყო ქალის ნიჭსა და უნარში

თემის შერჩევის დროს ახალგაზრდა მხატვარმა, თავისი არჩევანი კომუნიზმის მშენებელ ახალგაზრდა ვაჟკაცის პორტრეტზე შეაჩერა.

სურათში უნდა ასახულიყო სტალინური შევარდნის ურტეხი ნებისყოფა, ძლიერება სტალინგრადთან მებრძოლი ვაჟკაცისა, ბერლინში რომ დროშაააფრიალა და დღეს მშვიდობიანი შრომით აღგზნებული მდინარეებს უცვლის გეზს სურათი კი, რომელსაც მაგდა სადიპლომო შრომისთვის ხატავდა, უსიცოცხლო თვალებით დაჰყურებდა შემოქმედს და მთელ მის არსებას სასოწარკვეთილებაში აგდებდა.

არც ერთი ცოცხალი ნაკვთი, არავითარი მღელვარება, — ერთი შეხედვით სწორად განზომილ და გემოვნებით შეხამებულ სურათში.

—უნიჭობის ბრალია! — დაასკვნა საბოლოოდ ქალმა და ამ მძიმე განაჩენის შემდეგ მტკიცედ გადაწყვიტა, არ წარედგინა ეს ნაშრომი სასწავლებელში, არ შეერცხვინა თავი.

მაგრამ ამ მძიმე გადაწყვეტილების შემდეგაც ვერ დაჰყარა მაგდამ ფარხმალი. მან კიდევ ერთხელ მიმართა წიგნებს. კვლავ დაუბრუნდა ხელოვნების შედევრებს, კვლავ გადახედა რუსი, იტალიელი, ჰოლანდიელი და ესპანელი ოსტატების განვლილ გზას. გაიხსენა საბჭოთა მხატვრების ცნობილი ნიმუშები და ამ გზით კიდევ ერთხელ სცადა აემეტყველებინა მის მიერ შექმნილი უცნობი ვაჟკაცის სახე, მაგრამ არ იქნა და არა, სიცოცხლე ვერ შთაბერა სურათს.

სადიპლომო ნაშრომის ჩაბარების ვადა დღითიდღე ახლოვდებოდა, სურათს ყველა მოუთმენლად ელოდა. მაგდას კი სირცხვილი ჰკლავდა. უცნობი ვაჟკაცის უსიცოცხლო სახე არ შორდებოდა თვალს.

ეს სულიერი მღელვარება პირველად მაგდას, მისმა მეგობარმა, კომკავშირის ორგანიზაციის მდივანმა, ელენემ შეატყო. ქალი თავისთან დაიბარა და კარგა ხნის გულთბილი ბაასის შემდეგ დაარწმუნა რომ მას დამშვიდება და დროებით გარემოს შეცვლა სჭირდებოდა.

— ქალაქიდან უნდა გახვიდე, მაგდა, ათიოდე დღით უნდა გახვიდე და რაც შეიძლება ჩქარა. — ეუბნებოდა ელენე მეგობარს.

ამას მაგდაც გრძნობდა, მაგრამ საით, ვისთან წასულიყო, თვითონაც არ იცოდა ქალმა. თბილისში გაზრდილს მახლობელი არავინ ჰყავდა სოფლად, საგზურის შოვნა კი დროს მოითხოვდა.

— დედაჩემთან წადი, ჩემ სოფელში, იქ დაისვენე. — ურჩია ისევ მეგობარმა. ერთი კვირის ყოყმანის შემდეგ მაგდამ მიიღო მეგობრის რჩევა. თითქო მოეწონა კიდეც. განიმარტოებდა თავს, მოშორდებოდა ჩვეულ გარემოს, სადიპლომო შრომას.

მაგდას თანხმობით გახარებული ელენე მაშინვე შეუდგა საქმეს. დახაზა მარშრუტი, დაწერა წერილი, თითქოს ეშინოდა არ გადაეფიქრა მეგობარს და უარი არ ეთქვა განზრახულზე.

— აი საგზური, — სიცილით წამოიძახა მან. — ეს წერილია დედაჩემთან. ჩვენი სოფელი იქვეა, ბაქანთან, სახლიც იქვეა. ჩახვალ თუ არა, შემხვედრს ჰკითხე, მიგასწავლიან, მიგყვებიან. — სხაპასხუპით ამბობდა სიხარულისაგან ამეტყველებული ელენე და თან ბარათზე მისამართს აწერდა.

ამ გადაწყვეტილებით დაშორდნენ მეგობრები ერთმანეთს. გამოთხოვებისას ელენემ დასძინა.

— თუ კრება არ შედგა ხვალ, მოვალ, სადგურზე გაგაცილებ!

მგზავრობას თავისი მიმზიდველობა და ეშხი აქვს. ელენესაგან წამოსული მაგდა ოცნებას მიეცა. პირველი იყო მის ცხოვრებაში, რომ მარტო მგზავრობა უხდებოდა და ისიც, იმისთვის სრულიად უცხო მიმართულებით.

ახლა კი, როცა ყველაფერი მზად იყო და სამგზავრო ბილეთიც ხელში ეჭირა, გუნება შეცვლილი ქალი სამგზავრო ჩანთასთან ჩამომჯდარი, იგონებდა ელენესთან ბაასს და ნანობდა.

— როგორ ბავშვურად მომივიდა. მითხრა და დავთანხმდი, ავიკრიფე გუდანაბადი და მივდივარ. ის კი არ ვიცი სად მივდივარ, ან ვისთან მივდივარ.

უცებ გაუელვა აზრმა, უარი ეთქვა ამ მგზავრობაზე, დარჩენილიყო სახლში, მაგრამ თვალი მოჰკრა თუ არა შუშაბანდში ატუზულ სურათს, კვლავ უხიამოდ გააჟრჟოლა.

ფეხზე წამოდგა. ალბომი და ფანქრები ჩანთაში ჩაყარა და ჩანთაც დახურა.

კედლის საათმა ორჯერ ჩამოჰკრა. მატარებლის გასვლამდე ცოტაღა რჩებოდა.

ღია ფანჯარაში ავტომანქანის სირენის ხმა შემოიჭრა.

— ელენე მოვიდა! — სიხარულით წამოიძახა მან და მოსწყდა სურათს. კიდევ ერთხელ შეავლო თვალი ბინას, ფანჯრები დახურა, პალტო ჩაიცვა და ხელბარგით დატვირთული კიბეებს დაჰყვა.

* * *

რბილი ვაგონის სავარძელში მიყუჟებული მაგდა, ჩუმად უსმენდა ბორბლების რაკარუკს. მათი თანაბარი ხმიანობა გულს უმშვიდებდა. ფანჯარასთან ჩამოკიდებული ვიღაც თანამგზავრის ჩანთა ნელა ტოკავდა.

მშობლიური ქალაქის ნაცნობი კონტურები კარგა ხანია თვალს მიეფარა. წინ ჩვეულებრივი ქართული ლანდშაფტი გადაიშალა — მთები, ტყეშეფენილი კორდები, ძველი ტაძრების ნანგრევები, ბაღჩა-ბაღები, სახლები მწვანეში ჩაფლული სახურავებით, მოკენჭილი შარაგზები და ისევ მთები.

მაგდას მოსწყინდა ფანჯარაში ცქერა. ჩანთიდან წიგნი ამოიღო, გაშალა და კითხვას შეუდგა.

მგზავრებმა კუპეში საუზმე გაშალეს. სახელდახელო სუფრაზე ნაირ-ნაირი საჭმელი გაჩნდა. ღვინო და ჭიქაც მოინახა. ბაასი აეწყო.

ერთმა პირხმელმა თავაზიანმა ახალგაზრდამ კუთხეში მიმჯდარი მაგდა საუზმეზე მიიპატიჟა და მსუქანი დედლის ბარკლის გადანაჭერი შესთავაზა, დარცხვენილმა მაგდამ უარი სთქვა ქათამზე.

მატარებელი მიჰქროდა, ჩერდებოდა ახმიანებულ სადგურებზე და ისევ მიჰქროდა.

ბაასის საგანი ხშირად იცვლებოდა. მაგდას მოპირდაპირე, დაბალი ტანის მსუქანი კაცი, სამშვიდობო პოლიტიკაზე მსჯელობდა და ამერიკის მესვეურთ ლანძღავდა. მის გვერდით მჯდომი პირხმელი ახალგაზრდა თავისი მტს-ის მიღწევებით ამაყობდა. ქალის მეზობლად მჯდომი ატლეტური აგებულობის ვაჟკაცი კი მსმენელთ სპორტზე მოუთხრობდა.

ერთხანს კუპეში სიჩუმეც ჩამოვარდა. ყველა საკუთარ ფიქრს მიეცა. სიჩუმეში კვლავ მკაფიოდ გაისმა ბორბლების მწყობრი რაკარუკი.

— მოიღრუბლა, წვიმას თუ აპირებს! — დაარღვია სიჩუმე კუთხეში მჯდომმა სქელმა თანამგზავრმა.

ყველამ ფანჯარას შეხედა. ცაზე მართლაც შავი ღრუბელი განართხულიყო.

ბაასი ახლა ატმოსფერულ მოვლენებს შეეხო. პირხმელმა ახალგაზრდამ სადღაც ინდოეთში, თუ სუმატრაში გადაქროლილი საშინელი ქარიშხლის ამბები გაიხსენა.

მაგდა ადგა და ვაგონის ვიწრო დერეფანში გავიდა. სარკისებრ გაპრიალებულ ფანჯარას მიეყრდნო. გულს სევდა შემოაწვა. მის წინ ისევ ის კითხვა წამოიჭრა: — სად მივდივარ, ვისთან მივდივარ?

ფანჯრის წინ ახლად გადახნული მინდვრები და აჯეჯილებული ყანები მიჰქროდნენ. ელექტროანძები და ტელეგრაფის ბოძები ერთმანეთს მისდევდნენ. სადღაც სოფელსაც ჩაუქროლა მატარებელმა. მოლმოკრიალებულ ეზოში პატარა ბიჭი ბოჩოლას ეჭიდებოდა. კაბადაკაპიწებული ქალი ბატებს მიერეკებოდა გზაზე.

იწურებოდა სოფლის ჩვეულებრივი დღე. ღრუბლიანი ამინდის გამო ნაადრევი დაისი დგებოდა. ფანჯარას მიყრდნობილი მაგდა კი მატარებლიდან გაჰყურებდა გარემოს. თითქოს წუთით განშორებოდა მას და გულგრილი მაყურებელი გამხდარიყო ცხოვრებისა.

— მოემზადეთ, თქვენი ბაქანია, აქ მატარებელი ცოტა ხნით ჩერდება! — მიმართა კონდუქტორმა დერეფანში მდგომს.

მაგდა კუპეში შევიდა. ჩანთა ჩამოიღო. პალტო ჩაიცვა. ქუდი დაიხურა და თანამგზავრებს გამოეთხოვა.

— კარებამდე მე მიგაცილებთ! — თავაზიანად მიმართა პირხმელმა ახალგაზრდამ მაგდას და ჩანთა ჩამოართვა.

მატარებელმა სვლას უკლო. შეიჭრიალეს მუხრუჭებმა. ბორბლების რაკარუკი მისწყდა. მატარებელი გაჩერდა. კონდუქტორმა კარები გააღო. ღია კარებში შემოისისინა ქარმა.

— იჩქარეთ! — გაისმა ზურგს უკან კონდუქტორის ხმა.

მაგდა კიბეზე ჩავიდა. კარებში გამოწვდილი ჩანთა ჩამოართვა თანამგზავრს, მადლობა გადაუხადა და ვაგონს მოშორდა.

კონდუქტორმა კარები დახურა. მატარებელმა შეჰკივლა და დაიძრა. მძიმე რახრახით მიჰყვნენ ერთმანეთს ვაგონები. ჩქარა მატარებელმა ბოლო მოიქნია და სასიგნალო ფარნის წითელი შუქი ციმციმით გაჰყვა მოსიპულ ფოლადს.

მაგდამ რამდენიმე ნაბიჯი გადასდგა მიმავალი მატარებლისაკენ, თითქოს უნდოდა დასწეოდა მას, მერე შედგა, მიმოიხედა, ახლომახლო არავინ ჩანდა. ირგვლივ სიჩუმე და ბინდი წვებოდა. გზის გადაღმა ტყე შრიალებდა. მაგდა შეკრთა. უმწეოდ შეავლო თვალი გარემოს. ტყის სიღრმეში სინათლის ციმციმს მოჰკრა თვალი. ხის შტოებში რაღაც შუქი ინთებოდა და ქრებოდა. იმავე მხრიდან ქოფაკის ყეფა შემოესმა.

— აი სოფელიც! — გაიფიქრა გახარებულმა მაგდამ და რკინიგზის ლიანდაგის ნაყარზე დაეშვა.

დაღამდა. საიდანღაც მოვარდნილმა ქარის ტალღამ უცნაურადააშრიალა ტყე. ელვამ ცა გასჭრა. დაიგრგვინა. წვიმის პირველი წვეთები მძიმედ დაეცა ხის ფოთლებზე.

მაგდამ ძალღონე მოიკრიფა. ჩანთა აიღო და ტყისპირს გაჰყვა.

მინდორზე გასულმა ისევ შეამჩნია ციმციმა სინათლე. გახარებულმა ნაბიჯს უმატა. ელვის შუქზე რაღაც მანქანებს მოჰკრა თვალი. მანქანებს გადაღმა — ბორბლებზე შემდგარ უცნაურ ქოხს. შუქი იქიდან მოდიოდა.

მაგდა მიიჭრა ქოხთან და გაუბედავად შესძახა. შეძახილზე ძაღლმა შეჰყეფა. შეშინებულმა მაგდამ უკან დაიხია.

შეიჭრიალა ქოხის კარმა. სადგომიდან გამოვარდნილმა სინათლის შუქმა სიბნელე გასჭრა და მინდორზე ბილიკივით გაწვა. კარებში ვიღაც აიტუზა.

— ქელეშა, ხმა! — გაისმა წყვდიადში მოკლე ბრძანება. ძაღლი მიჩუმდა კიბეზე მდგომი შეირხა, წუთით ჩააშტერდა სინათლის ზოლს.

— რომელი ხარ? — იმავე კილოთი იკითხა მან.

— თუ შეიძლება გზა მასწავლოთ! — სუსტი ხმით შესძახა მაგდამ.

ლანდი მაშინვე კიბეზე დაეშვა. დინჯად მიუახლოვდა ქალს. ჩააცქერდა, აჰხედ-დაჰხედა.

— ამ ავდრიანში საით მიდიხარ ამხანაგო? — გაკვირვებით იკითხა მან.

— გზა ამებნა, საუჯარმოში მივდიოდი. — აუხსნა მაგდამ.

— ცუდად გივლია. — ცივად ჩაილაპარაკა უცნობმა.

მაგდა ამ კილომ გააოცა. აღარ იცოდა როგორ გაეგო ნათქვამი და რა ეპასუხა უცნობისათვის. წუთით იფიქრა კიდეც, — ისევ განეგრძო გზა, მაგრამ საით, ირგვლივ წყვდიადი იდგა. წვიმის წვეთებმაც მოუხშირეს.

თვალისმომჭრელმა ელვამ ისევ გასერა ზეცა. სადღაც იქვე კიდეც მეხმა. თავაწყვეტილმა ზენა ქარმა სტვენით შემოურბინა მინდორს. ცამ პირი მოხსნა. კოკისპირული წვიმის თქეში აშხაპუნდა.

— აქ დასველდები, სამორიგეოში შემობრძანდი! — უთხრა უცნობმა სტუმარს და გაუძღვა სამორიგეო ოთახისკენ.

ოთახში შესული, დაღლილი სტუმარი, ტახტზე ჩამოჯდა. თვალი მოავლო სადგომს: სამფეხა სკამი, გაურანდავი ფიცრის მაგიდა, რკინის ღუმელი მკრთალად მოსჩანდნენ ფარნის შუქზე.

კართან წამომჯდარი მურა ძაღლი ფეხზე წამოდგა, კუდის ქნევით მიუახლოვდა სტუმარს და ფეხთით მიუწვა. მაგდამ შიშით დახედა ვეება ნაგაზს, მერე ხედვა მოფუსფუსე მასპინძელზე გადაიტანა. ახოვანი ვაჟკაცი წელში მოხრილიყო, ღუმელს მისჯდომოდა და ცეცხლს აჩაღებდა. ღუმელიდან ათასში ერთხელ გამოვარდნილი ალი მზისგან დამწვარ ბრინჯაოსფრად გარუჯულ სახეს უნათებდა, შუბლზე გადმოყრილი კუპრივით შავი და გრუზა თმა გიშერივით ბრწყინავდა ნალვერდლის შუქზე.

ჩქარა ღუმელიც აგიზგიზდა. ცეცხლის შუქი ციბრუტივით აცეკვდა იატაკზე და ხალისი მოჰფინა ოთახს.

ვაჟი მიუახლოვდა სტუმარს, შეათვალიერა.

— პალტო გაიხადე ქალო, აგერ კუთხეში ნაბადი დევს, ის წამოისხი, ცეცხლთან დაჯექ! — უთხრა მასპინძელმა საცოდავად აბუზულ ქალს.

მაგდა წამოდგა.

— არა, მე წავალ, გზა მასწავლეთ! — ხვეწნით წაიდუდუნა მან.

ვაჟს ჩაეცინა.

— აბა რას ამბობ, ახლა აქედან სად გაგიშვებ, ყური დაუგდე როგორა წვიმს, როგორ ზუზუნებს ქარი!

— არა უშავს რა, გამაცილეთ! — მუდარით მიმართა ქალმა.

— ჩემ სადარაჯოს ვერ დავტოვებ, მორიგე ვარ, შენ კი აბა, გზას სად გაიგნებ ამ ჭალებში.

— მაშ რა ვუყო? — უმწეოდ შესძახა ქალმა.





— რა უნდა უყო, ისე მოიქეც, როგორც გირჩევ. მიდი ცეცხლთან. მე კი წავალ, ვახშმისათვის რამეს მოვიფიქრებ. გეშიება, ნამგზავრი ხარ. — ალერსიანად მიუგო ვაჟმა, გაუღიმა. — ამ ღიმილში რაღაც მიმზიდველი იყო, გამამხნევებელი, იმედის მომცემი.

მასპინძელი კარებისაკენ გაემართა.

— თქვენი სახელი მაინც გეთქვათ! — უკმაყოფილოდ წაიდუდუნა მაგდამ.

— ფარნას მეძახიან ხალხში, ნამდვილად კი ფარნაოზი ვარ. — ღიმილით მიუგო მასპინძელმა და კარში გავიდა.

მარტო დარჩენილი ქალი მიუახლოვდა ღუმელს. გაიძრო სველი პალტო და ნაბადში გამოეხვია.

უცბად დაღლილობა იგრძნო. სითბომ მოსთენთა. იქვე ჩამოჯდა ისევ ტახტზე, მუთაქა მოსძებნა და ზედ დაეყრდნო.

კარში კოკისპირულად წვიმდა. ქარის ზმუილი ჭექა-ქუხილს უერთდებოდა, ბორბლებზე შემდგარ ქოხს ქარიშხალი წაქცევას უქადდა.

— რა უცნაური დღე გათენდა, — ფიქრობდა მაგდა. — აი დიდი ცხოვრების გზა. ქარიშხალი, ჭექა-ქუხილი, თქეში და ღვართქაფი... — თვალები მილულა. აზრი გაუწყდა.

...ფეხაკრეფით მიუახლოვდა ვაჟკაცი ქალს. დაიხარა. თვალებში ჩახედა. ფარნას ჰგავდა, მაგრამ ფარნა არ იყო. ქალს ისევ ის უსიცოცხლო თვალები უცქერდნენ ნაცნობი სურათის ჩარჩოდან.

შეშინებულმა წამოიწია. თვალი გაახილა. არავინ იყო ირგვლივ. კარში ისევ წვიმდა. ძაღლი მისწოლოდა ფეხთით. მაგდამ შეხედა ძაღლს. ხელი გადუსვა თავზე. ისევ მიწვა, ისევ ჩათვლიმა.

ფარნამ კარები შემოაღო. ხონჩა მაგიდაზე დასდო. მალვით შეხედა მითვლემილ ქალს.

მაგდას თმები ჩამოშლოდა მკერდზე. საკინძე გახსნოდა. ტუჩებზე ბავშვური ღიმილი უკრთოდა. აწითლებული ლაწვები წამწამთა ჩეროს დაეჩრდილა.

— რა ლამაზია! — უნებლიეთ გაიფიქრა ფარნამ, მერე მძიმედ შემოტრიალდა და გარეთ გავიდა.

ტკბილად მძინარი მაგდა გუგუნმა გამოაღვიძა. გაკვირვებით მიმოიხედა. გამოერკვა. არავინ იყო ირგვლივ. წამოდგა და კარში გავიდა.

ქარიშხლიანი ბნელი ღამე, პირმცინარი, მზიანი დილით შეცვლილიყო. თვალუწვდენელი ფართო ველი ნაირფერებით ელვარებდა. ბროლივით გამჭვირვალე სუფთა ჰაერი ყვავილოვანი გაზაფხულის სურნელებით ავსილიყო. ჯერ კიდევ ციმციმებდა ფოთლებზე ნამი გუშინდელი ნაწვიმარისა. იყო რაღაც მარადიული ამ დილაში, ლურჯად გადახსნილ ცის ტატნობის სილაჟვარდეში. ამ აშრიალებულ, აგუგუნებულ და ახმიანებულ სამყაროში.

უცბად შორიახლოს ჭექა მოისმა. ტყის განაპირას უზარმაზარი ხე შეირხა და ზათქით დაეშვა ძირს. გაისმა ტოტების ლაწალუწი. ტყიდან ვეება ტრაქტორი გამოგრიალდა. ღრჭენით და ჭრიალით მიუახლოვდა მაგდას და შედგა.

— სტუმარო, დილამშვიდობისა!... როგორ გეძინა წუხელ? — მოესმა ქალს ნაცნობი ხმა.

მაგდამ აჰხედა ტრაქტორს და ერთ ადგილას გაირინდა. ტრაქტორის საჭესთან შუშაბანდში მიტოვებული, მხატვრის ოცნებით დახატული, გაცოცხლებული გმირი იჯდა. ნამდვილი გმირი, მოელვარე შავი თვალებით. მომღიმარი, ახოვანი, შეუპოვარი. ამ დილასავით ჯანსაღი და სიცოცხლით სავსე.

— ფარნა! — შესძახა ქალმა.

ფარნამ ღიმილით გადმოხედა ფერშეცვლილ ქალს.

მაგდა მიუახლოვდა ტრაქტორს. ავიდა კიბეზე. ჩაჰხედა თვალებში. გაუღიმა. თითი დაადო მკერდზე.

— ფარნა, რა არის ეს? — იკითხა მაგდამ.

— სტალინგრადშია მიღებული.

— ეს?

— ეს ბერლინის მისადგომებთან.

— ეს რაღაა? — არა ცხრებოდა ქალი.

— ნიშანია წარჩინებული შრომისათვის. — ღიმილით მიუგო ფარნამ.

— მაშ შენ... — არ დაათავა მაგდამ კითხვა. მიმოიხედა. ახლადმოხნულ ყამირს გაჰხედა. ტრაქტორზე მობმულ ფესვებამოყრილ ხეს დააშტერდა. თვალი მოავლო მთელ ჰორიზონტს. თავისუფლად ამოისუნთქა.

— რა მე, ვერ გამიგია?! — გაკვირვებით იკითხა ფარნამ.

— შენ ისა ხარ, უთუოდ ის... — წაიჩურჩულა წამოწითლებულმა მაგდამ და ქვევით დაეშვა. ტრაქტორი ისევ აგუგუნდა. განაგრძო გზა. შეუხმიანდა ველის გუგუნს.

მაგდა მაღლობზე იდგა. გაჰყურებდა ახმიანებულ ველს, მომღიმარ ფარნას და ტუჩებიც უნებურად, ალტაცებით იმეორებდნენ შუაზე გაწყვეტილ პასუხის აზრს:

— შენ ისა ხარ, უთუოდ ის... ჩემი სურათის გმირი!

# ანთიმ ივერიელი

## ქართული ეროვნული სტამბის ისტორიისთვის

გიორგი ლეონიძე

გვიახლოვდება ქართული ეროვნული სტამბის 250 წლისთავი. ჩვენ მოვალე ვართ შევისწავლოთ თბილისში სტამბის დაარსების საკითხი და მის დამაარსებელთა ცხოვრება - მოღვაწეობა.

ამ მიზნით ვაქვეყნებ მცირე მასალას ჩემი „რუმინული დღიურიდან“ ქართველი მოღვაწის ანთიმ ივერიელის შესახებ, რომელიც ქართული ეროვნული სტამბის ორგანიზაციის ერთ-ერთ მესვეურად უნდა ჩავთვალოთ, ვახტანგ მეექვსესთან ერთად. ანთიმის სახელი ჩვენში არც ისე ცნობილია.

ჩემი „რუმინული დღიურები“ ეკუთვნის იმ დროს, (1949 წ. დეკემბრის ბოლო, 1950 წ. იანვარი), როდესაც რუს პოეტ სტეფანე შჩიპაჩევთან ერთად გავემგზავრე საბჭოთა კავშირის დელეგატად დიდი რუმინელი პოეტის, მიხაი ემინესკუს დაბადებიდან ასი წლის იუბილეზე.

ამ დროს ეკუთვნის ჩემს მიერ მასალების ძიება ანთიმ ივერიელისა და ბესიკ გაბაშვილის შესახებ. კერძოდ: ქ. ბუქარესტის აკადემიის ბიბლიოთეკაში, ქ. იასის მუზეუმში და ისტორიკოს-ლიტერატორთა წრეებში.

1951 წ. იანვრის 8-ს მიხაი ემინესკუს იუბილეზე, საბჭოთა კავშირის დელეგაციის სახელით გამოვედი ბუქარესტის „ათენუმის“ დიდ თეატრში და მივესალმე დემოკრატიულ რუმინეთის საზოგადოებას. მისალმებაში ვახსენე ანთიმ ივერიელი—ქართველი (1650—1717 წ.) რუმინელთა დიდი მოღვაწე, ხალხთა ძმობის მომაგე, დავახასიათე მისი დაუცხრომელი მოღვაწეობა და როდესაც წარმოვთქვი: „გაუმარჯოს ჩვენს და თქვენს ანთიმს!“ — ჩემი სიტყვები მქუხარე ტაშის გრიალმა დაფარა. რუმინეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა ანა პაუკერმა ანტრაქტში მომმართა: — მე დიდი მადლობელი ვარ ანთიმის გამო! ხედავდით, ყველას როგორ უკრთოდა ღიმი მის ხსენებაზე? ჩვენ ყველას გვიყვარს ანთიმი! გმადლობთ, გმადლობთ!... მე ანთიმის სახელობის ქუჩაზე ვარ დაბადებული და აღზრდილი!—ღიმილით მითხრა ანა პაუკერმა.

ამ საზეიმო საღამოს რუმინეთის საზოგადოებრიობასთან ერთად რუმინეთის სახალხო დემოკრატიული პარტიის და მთავრობის ყველა ცნობილი წარმომადგენელი დაესწრო.

* * *

არაჩვეულებრივად პოპულარულია ანთიმ ივერიელის სახელი რუმინეთში.

გარდა იმისა, რომ 40-დე წიგნი და ბროშურაა დაბეჭდილი ანთიმის შესახებ, ანთიმის ბიოგრაფიას თურმე სკოლაშიც ასწავლიან.

— ანთიმმა სტამბა მოგვიწყო მე-17 საუკ. ბოლოს და მე-18 საუკუნის დასაწყისში. ხუთი სტამბის ორგანიზატორია იგი რუმინეთში. მთელ საქრისტიანო წინააზიას მაშინ ჩვენი სტამბებით ვკვებავდით!—თავმომწონედ ამბობს მეისტორიე. — ამ სტამბებში ანთიმი ბეჭდავდა რუმინულ, სლავურ, ბერძნულ და არაბულ წიგნებს. აქვე დაბეჭდა მან ქართული წიგნი და ქართველებს საჩუქრად გაუგზავნა!—განაგრძობს მოხუცი.

— ანთიმი ითვლება ჩვენი ახალი რუმინული ლიტერატურის ფუძემდებლად. მან პირველმა მისცა დიდი გასაქანი თავის ქადაგებებში ცოცხალ, სასაუბრო მეტყველებას!—მიამბობს რუმინელი პოეტი.

— იგი პოლიგლოტი იყო. გარდა მშობლიური ქართულისა, რუმინულისა, სლავურისა, ბერძნულისა, სწერდა აგრეთვე არაბულ ენაზეც,—დასძენს აკადემიკოსი კონსტანტინესკუ.

— ანთიმი იყო რუსეთის ორიენტაციის დიდი პოლიტიკური მოღვაწე. იგი რუსეთით ელოდა ჩვენს განთავისუფლებას, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც პეტრე დიდმა გაიმარჯვა კარლოს XII (1709 წ.) და რუსეთის გზით, ალბათ, თავის სამშობლოს, საქართველოს განთავისუფლებაზედაც ოცნებობდა.

— მას პეტრე დიდთან თურქეთის წინააღმდეგ რუმინეთის ფარულ მოლაპარაკებაში ედო წილი და ამ საქმეს შესწირა სიცოცხლეც! — დასძენს მეისტორიე. ის თურქებმა მოჰკლეს წამებით, როგორც რუმინეთის პატრიოტი.

იმავე დროს ანთიმი იყო პოეტი მხატვარი რჩეული მოქანდაკე, ხუროთმოძღვარი, განთქმული ორატორი, ტრიბუნი - მოქადაგე.

ანთიმი თავისი ქადაგებით დღესაც ითვლება ახალი რუმინული მწერლობის ფუძემდებლად. სწორედ მის დროს დაიწყო დამწერლობის რუმინიზაცია, რუმინული ენის შემოღება ეკლესიებში, მთავრობის კანცელარიაში. ანთიმის ქადაგებანი დაწერილი ცოცხალი მეტყველების ენაზე, პირველი ძეგლთაგანია ერთიანი, რუმინული ლიტერატურული ენისა.

ანთიმი დიდ რუმინელ პატრიოტად ითვლება. როგორც სწერს ფრანგი მეცნიერი ე. პიკო: „ყველა მღვდელმთავარს შორის, რომელთაც ვლახეთის სამიტროპოლიტო საყდარი სჭერიათ, არავინ არის ისეთი, რომელსაც შთამომავლობის თვალში იმდენი ღვაწლი მიუძღვოდეს რამდენიც ანთიმოზ ბერს. მისი ცოდნა, მისი გემოვნება ხელოვანისა, მისი ღრმა სიყვარული წიგნებისადმი საკმარისი იქნებოდა, რომ იგი უბადლოდ მიგვეჩნია მაგრამ მას გაცილებით მეტი აქვს გაკეთებული. მან, უცხოელმა, საქართველოს წიაღიდან მოსულმა, გვიჩვენა იშვიათი მაგალითი რუმინული პატრიოტიზმისა“.



აი, რას ამბობს მ. როლერის რედაქციით 1950 წ დაბეჭდილი „რუმინეთის ისტორია“ ანთიმ ივერიელის შესახებ:

„Помимо упомянутых богословских произведений следует отметить также Дидахай, или Проповеди, митрополита Анфимия Иверского. Уроженец Грузии (Иверии), Анфимий был приглашен в Валахию Константином Бранковяну который открыл в нем большого знатока печатного дела, рисования и граверного дела. Господарь произвел его в сан епископа, а затем — митрополита. При поддержке господаря Бранковяну, Анфимию удалось превратить Валахию в центр православия, снабжавший книгами христиан востока“ (გვ. 184).

ფრანგი მეცნიერის ემილ პიკოს სიტყვით „ანთიმი არ კმაყოფილდებოდა თავის გარეშემო სათნოებისა და კეთილი საქმეების მაგალითის მოცემით, მან ყურადღება მიაქცია თავის თანამემამულე ქართველებს, მოისურვა მათთვისაც სტამბის მიცემა. აირჩია ერთი ტრანსილვანელი, რომელსაც უწოდებენ მიხაილ სტეფანოვიჩს და გაგზავნა კავკასიაში“.

ჯერ კიდევ სნაგოვში ყოფნის დროს ანთიმი ბეჭდავდა წიგნებს რუმინულ ბერძნულ, არაბულ, სლავურ ენებზე. არსებობს უცხოელ ისტორიკოსთა ცნობა, რომ სწორედ სნაგოვში ყოფნის დროს ანთიმმა ჩამოასხა ქართული შრიფტი, დაბეჭდა ქართული წიგნი („კონდაკი“) და გაგზავნა საქართველოში.

„ანთიმმა ამოსჭრა და ჩამოასხა ქართული საეკლესიო ასოები, რომლითაც აღბეჭდა ქართული კონდაკი და გაგზავნა „სამშობლოში“-ო, გვიამბობს უცხოელი მეცნიერი.

დიდი გულის ფანცქალით ვეძებდი ბუქარესტში ანთიმის მიერ სნაგოვში დაბეჭდილ ქართულ წიგნს, მაგრამ იმ მცირე დროში ვერ მივაგენი.

მართლაც, შესაძლოა, საქართველოზე მეოცნებეს და ფიქრმღელვარე ანთიმს დაებეჭდა ქართული წიგნი მაშინ, როცა იგი ბეჭდავდა რუმინულ, სლავურ, ბერძნულ, არაბულ ენებზე. განა იგი არ ეცდებოდა ბეჭდვის საქმის ორგანიზაციას მშობლიურ ენაზე? ჩვენ ხომ ქვევით დავინახავთ, რომ ანთიმი კოსმოპოლიტი არ ყოფილა.

თუ მართლა აღმოჩნდა 1697 წ. სნაგოვში დაბეჭდილი ქართული წიგნი, მაშინ შეიძლება ვივარაუდოთ არჩილ მეფის მონაწილეობა, რადგან იგი მეცადინეობდა ევროპაში ქართული სტამბის საქმეებისათვის, ხოლო ვახტანგს კი მაშინ არაფრის შესაძლებლობა არა ჰქონდა (იგი გამეფდა მხოლოდ 1703 წელს, ისიც მოადგილედ ითვლებოდა და არა მეფედ). ჯერ დადასტურებული არ არის, დაბეჭდა თუ არა


ANTIM IVIREANU

PREDICI

CU O PREFAȚĂ ȘI INDICE DE CUVINTE

DE

PETRE V. HANEȘ

PROFESOR SECUNDAR

BIBLIOTECA ACADEMIEI ROMANE

BUCUREȘTI

Institutul de Arte Grafice și Editura «MINERVA». — Bulevardul Academiei, 3. — Strada Edgar-Quinet, 4.

1915

**თავფურცელი ანთიმ ივერიელის წიგნის „ქადაგებანი“, დაბეჭდილი ქ. ბუქარესტში 1915 წელს**

5002

1691 წელს სნაგოვში, ქართული წიგნი ანთიმმა, მაგრამ ახალი მასალების მიხედვით ერთხელ კიდევ დასტურდება, რომ იგი პირველი ეროვნული ქართული სტამბის ორგანიზატორია ვახტანგ მეექვსესთან ერთად.

ანთიმის შესახებ უკანასკნელი ქართული შრომის ავტორი, აკად. ა. შანიძე, ჯერ კიდევ 1936 წ. დასძენდა: „ჯერ ბევრი რამაა გაურკვეველი თბილისში პირველი სტამბის საკითხთან დაკავშირებითო“.

„ღიად რჩება საკითხი იმის შესახებ, —განაგრძობს აკად. ა. შანიძე, — ბეჭდავდა, თუ არა დაუღალავი მოღვაწე და სასტამბო საქმისათვის თავდადებული ანთიმოზ ქართველი ბერძნულ, რუმინულ, სლავურ, არაბულ წიგნებს, გარდა ქართულისა და ღიად დარჩება იგი მანამდე, სანამ არ აღმოჩნდება ამის უტყუარი საბუთი—თვით დაბეჭდილი წიგნი. შეიძლება რუმინეთის არქივში აღმოჩნდეს მიწერ-მოწერა და დამატებითი ცნობები ქართული სტამბის ისტორიისათვის“ (გვ. 157).

სწორედ ამ ახალ, ჩემს მიერ მოპოვებულ რუმინულ მასალების საფუძველზე უნდა ვთქვა ორიოდე სიტყვა ანთიმ ივერიელის ირგვლივ.

რუმინეთში ჩემი ხანმოკლე ყოფნის დროს, არ დავზოგე ძალღონე ანთიმის შესახებ ბიოგრაფული მასალების შესაკრებად. ბუქარესტის აკადემიის ბიბლიოთეკის თანამშრომლებს ვთხოვე გაეგრძელებინათ ძიებანი ანთიმ ივერიელის გარშემო და ახალი აღმოჩენანი ეცნობებინათ ჩვენთვის თბილისში.

სადაური უნდა იყოს ა ნ თ ი მ ი? მისი მოტაცების ხანა ემთხვევა შაჰნავაზის (ვახტანგ V) და არჩილის ,მეფობის პირველ წელს. მაშინ აღმოსავლეთ საქართველოში შედარებით მშვიდობიანობა იყო. არავითარი ომები და თავდასხმები იმ ხანად არ ყოფილა. სულ სხვა იყო სამცხე-საათაბაგო, რომელიც უსაშინელეს აწიოკებას განიცდიდა ოსმალთაგან. ამიტომ შესაძლოა ანთიმი უფრო მესხეთიდან იყოს წარმოშობით და იქიდანვე მოტაცებული.

ანთიმ ივერიელი დაბადებულა 1650 წლის ახლო ხანებში. რუმინეთში ანთიმის ყრმობისა და ბავშვობის შესახებ სრულიად არაფერი იციან, გარდა იმისა, რომ როგორც თვითონ ანთიმს უამბნია, და როგორც მისი ანდერძიდან ჩანს, ანთიმის მშობლებს მარიამ და ივანე რქმევიათ, ხოლო თვითონ ანთიმს ერისკაცობაში—ანდრია. 1676 წ. 16 წლის ჭაბუკი სამშობლოდან მოუტაცნიათ და სტამბოლის ბაზარზე გაუყიდიათ. ნიჭიერი ბავშვი გამოუსყიდია იერუსალიმის პატრიარქს, რომელიც სტამბოლში ცხოვრობდა. საპატრიარქო კარზე ანთიმს შეუსწავლია სლავური, ბერძნული და არაბული ენები.

ამასთან ერთად, ანთიმი ცნობილი გამხდარა, როგორც მშვენიერი მხატვარი, მოქანდაკე, ხუროთმოძღვარი, მოქადაგე, პოეტი. იგი სტამბოლშივე დაუფლებია სასტამბო ხელოვნებას.

1689 წ., როდესაც უნგრო-ვლახეთის მთავარმა კონსტანტინე ბრანკოვანუმ მოსთხოვა პატრიარქს სტამბის ხელოვანი კაცი, უნგრო-ვლახეთში სასტამბო საქმის ასაყვავებლად, პატრიარქმა მას სწორედ ანთიმი გაუგზავნა, როგორც ნიჭით და ხელოვნებით განთქმული ახალგაზრდა. რუმინეთში ანთიმი ერისკაცად ჩასულა. მაშინ მას უწოდებდნენ „ანდრია ქართველს“, „ანდრია ქართველ მესტამბეს“.

ანთიმის პირველი ნაბეჭდი წიგნი სნაგოვში უნდა იყოს. ბერძნული წიგნი „ბასილი მაკედონელისა“ დათარიღებული 1691 წლით, წიგნს მარტივად აწერია — „ანთიმ იერომონახი“.

1692 წ. ანთიმს დაუბეჭდია „წირვა წმ. ახალ პარასკევისა“.

„იერომონახად“ იწერება იგი 1702 წელსაც. 1695 წ. სნაგოვის მონასტრის წინამძღვრად, „ნასტავნიკად“ იხსენიება.

1705 წ. ანთიმი აირჩიეს რიმნიკის ეპისკოპოსად, ხოლო 1708 წ. იანვარში მთავრის კონსტანტინე ბრანკოვანუს მიერ აყვანილ იქნა უნგრო-ვლახეთის მიტროპოლიტის ხარისხში და 1716 წლამდე განაგებდა რუმინელთა მართლმადიდებელ ეკლესიას.

ანთიმი რუსოფილურ პარტიას ეკუთვნოდა, რუსეთთან მოლაპარაკებას აწარმოებდა და ურჩევდა რუმინელებს რუსეთის ორიენტაციაზე მდგარიყვნენ. „ის ღრმა ტკივილს განიცდიდა, როცა ხედავდა, თუ როგორ ჯიჯგნიდნენ ვლახეთს ფანარის ბერძენი ავანტიურისტები. იგი შეეცადა ადგილობრივი ბოიარები დაბნეულობიდან გამოეყვანა და ბერძნების წინააღმდეგ წაექეზებინა. ბერძნებს დიდი ხანი ეჭირათ მთავარი თანამდებობანი. ვლახელ ბოიარებს არ ჰქონდათ არც გავლენა, არც ენერგია.“

ანთიმი დამარცხდა. ოსმალთაგან დადგენილ მავროკორდატოს მიერ ბერძენ ეპისკოპოსთა ყრილობამ იგი გამოაცხადა შეთქმულად, კანონიერი ხელმწიფის წინააღმდეგ მეამბოხედ; მას დასწამეს აგრეთვე მისნობა და ეშმაკეულობა. (იგულისხმებოდა ანთიმის ნიჭი, როგორც მესტამბისა და ხელოვანისა). კრებამ იგი შეაჩვენა, განკვეთა, და ახადა მღვდელმთავრის ხარისხი. მას დაახურეს თავზე თურქული ჩალმა, ჩააცვეს თურქულად და გააძევეს სინას მთაზე... გზად, მდ. მარიცაზე გადასვლის დროს, თურქმა და ბერძენმა ჯარისკაცებმა ანთიმი აკუწეს ასო-ასო და წყალს გაატანეს.

ამრიგად, თურქებისაგან ყრმობაში ტყვედ მოტაცებული ანთიმ ქართველი, გახდა იმავე თურქების მახვილის მსხვერპლი.

— ნუ თუ არაფერი დარჩა ანთიმის პირადი არქივიდან: მიმოწერა, წიგნები? ნუ თუ დიდი მწიგნობრის მემკვიდრეობა ისე გაცამტვერდა, რომ ჩვენამდის არაფერს მოუღწევია?—ვეკითხებოდი ბუქარესტის აკადემიის თანამშრომლებს. რასაკვირველია, არქივში აღმოჩნდებოდა საბუთები ანთიმის კავშირის შესახებ საქართველოსთან, აგრეთვე საბუთები თბილისში ქართული სტამბის დაარსების შესახებ, მიმოწერა ვახტანგთან და სხვ. სამწუხაროდ, ჩემი მცირე ხნით ყოფნას ბუქარესტში არ შეეძლო დაეგვირგვინებინა ანთიმის არქივის ძიების საქმე. ძიებით კი ბევრ რამეს გვპირდებიან რუმინელი მეგობრები.

არქივის კვალს ვერ მივაგენი, სამაგიეროდ, დიდ აღტაცებაში მოვედი, როდესაც ერთ საღამოს ბიბლიოთეკის თანამშრომელმა ანთიმის მიერ ნაბეჭდი წიგნების ორმოცამდე ეგზემპლარი მაგიდაზე დამიწყო. სხვადასხვა ენებზე იყო ეს წიგნები დაბეჭდილი. არც ერთი ქართული წიგნი. მთელი საღამო მოვუნდი მათ თვალიერებას და სატიტულო ფურცლების გადმოწერას (ფოტოებიც გადმოვიღე).

მე რატომღაც მეჩვენა, რომ ხსენებულ წიგნთა ზოგი სამკაული ვახტანგისეულ ნაბეჭდ წიგნების მოკაზმულობას დეტალებში უნდა წააგავდეს. აქაც ანთიმის ხელი უნდა ერიოს,

იმ საღამოს ჩემთვის სრულიად ნათელი გახდა, რომ სამშობლოდან გადახვეწილ ანთიმს ჭირსა და ლხინში არასოდეს დავიწყებია საქართველო. უცხოეთში გაყიდული, გადახვეწილი, იგი სამშობლოს სახელს („ივერიელი“ — ქართველი) ირქმევს გვარად. არც ერთი წიგნი არა აქვს ანთიმს დაბეჭდილი, რომ ზედ თავისი ქართველობა არ ქონდეს გამოცხადებული. ჩვენ საბოლოოდ უნდა უკუვაგდოთ ეჭვები ანთიმის კოსმოპოლიტობის შესახებ.

ორი სიტყვა: როგორც ბუქარესტში გადმომცეს, სულ დიდი ხანი არ არის მას შემდეგ, რაც რუმინელი ნაციონალისტები ანთიმს რუმინელად სთვლიდნენ, ბუქარესტის ბერძნები — ბერძნად. რაც შეეხება „ივერიელს“, ამ სახელს აწარმოებდნენ ათონის ივერიის მონასტრისგან, რადგან ივერიის მონასტრის ბერს შეეძლო სახელი „ივერიელი“ ეტარებინა. მაგრამ არაბულ წიგნში, ანთიმი თავის თავს „გურჯს“, ქართველს რომ უწოდებს, ამაზე კი თვალებს ხუჭავდნენ.

ამავე საღამოს ჩემთვის ისიც გაირკვა, რომ 1709 წ. ქართულ სახარებაში დაბეჭდილი ცნობილი ქართულ-რუმინული ლექსი მესტამბეთა სიხარულზე, აღმოჩნდა ანთიმის მიერ 1691 წ. გამოცემულ რუმინულ სახარებაში. ჩვენ ვიცით, რომ ანთიმი პოეტიც იყო. ამდენად ეს ანთიმის ქართულსა და არაბულ წიგნებში დაბეჭდილი ლექსი გვაძლევს საფუძველს ვიფიქროთ, რომ იგი ანთიმის შემოქმედებას უნდა ეკუთვნოდეს.

ეს ის ლექსია ქართულ ასოებით რომ არის დაბეჭდილი 1711 წ. ქართულ „დავითნში“:

„პრეკუმ ჩეი სტრეინი დორესკ მშია სესვა ზე“ და სხვ. ხოლო ქართულად „ნავთსაყუდელსა მენავე, რა მოვლენ განისვენებენ“, რომელმაც საბოლოო ვარიანტში ასეთი სახე მიიღო:

„მენავე ღელვა-გვემული განეროს ზღვასა წყრომასა,
კალატოზნი და ხურონი რა მორჩეს თავის შრომასა,
მათს სიხარულსა ვინ დასთვლის, ანუ შვებისა ზომასა?
და მესტამბე მათგან უაღრეს იქს სიხარულის ნდომასა“.

ანთიმის ნაბეჭდმა წიგნებმა საინტერესო ცნობები მომცა თვით ანთიმის სასტამბო, საავტორო და სარედაქტორო მუშაობის შესახებ. ასევე საყურადღებოა თარიღები ანთიმის წიგნთმბეჭდაობისა რუმინეთში, მაგრამ ერთმა წიგნმა უეცრივ გამაოცა და როცა წინასიტყვაობა წავიკითხე, დაწერილი თვით ანთიმის მიერ, არა მჯეროდა.

ეს, 1697 წელს სნაგოვში ნაბეჭდი წიგნი, ანთიმის მიერ შედგენილი სლავური გრამატიკა აღმოჩნდა მისივე წინასიტყვაობით (წინასიტყვაობას ხელს აწერს „მესტამბე ანთიმი“).

წინასიტყვაობაში ანთიმი მოუთხრობს უნგრო-ვლახეთის მმართველს კონსტანტინე ბრანკოვანუ ბესარაბს, რომ მან, ანთიმმა, დაუმზადა მას სლავური გრამატიკა, უნგრო-ვლახეთში გამოსაყენებლად.

მე-4 ფურცელზე მოცემულია გრამატიკის განმარტება: რა არის გრამატიკა? ოდენობა ნაწილებისა: ორთოგრაფია, ეტიმოლოგია, სინტაქსი, პროსოდია, რას ასწავლის თვითეული ეს ნაწილი.

მე-5 ფურცელზე მოყვანილია გრამატიკული თარგმანები ბერძნულ ენაზე და მათი სლავური თარგმანი განმარტებითურთ.

ამრიგად, უნგრო-ვლახეთის და ბალკანეთის სლავიანებს სლავური გრამატიკა დაუწერა და დაუბეჭდა ქართველმა, ანთიმმა, ჯერ კიდევ 1697 წელს.

აკადემიის ბიბლიოთეკის გამგემ ორი დიდი, ყვითელ ტყავში ჩასმული წიგნი მომიტანა, როცა ჯერ კიდევ ანთიმის სლავურ გრამატიკას ვსინჯავდი.

ვახტანგისეული სტამბის „სახარების“ (1709 წ.) ეგზემპლარები, დაბეჭდილი სპარსულ ქაღალდზე, მშვენივრად შენახული აღმოჩნდა.


Въ благочестїи сїающемꙋ, пресвѣтломꙋ Господарю Ιω Кѡнстантинꙋ Басарабꙋ воеводѣ, и ѡбладателю всеѧ земли Оуггровлахїйскиѧ Благоѹтробнѣйшомꙋ благодѣтелю, Мирнагѡ здравїѧ, многодѣнствїѧ, благополꙋчїѧ, и вѣчнагѡ спасенїѧ полꙋчити желаемъ.

Предословїе Граммати́ки.

Сїе ѹже прозябе иностранное сѣмѧ, сирѣчь Славенска Граммати́ка, хꙋдожество известно, дѣло же сего и искꙋсно, и въ днехъ Господарствованїѧ вашегѡ. Есть всѧкомꙋ ѹдивително и ѹтѣшително, егда на его нивѣ израстае нѣкое зерно иноѧзыческое: видитъ бо ...

**ანთიმის სლავური გრამატიკის წინასიტყვაობა**


Грамматики.
вленїе, ѿже восла́ви Бжїю, и вчесть пре
благовѣннїа Дѣвы Бца, и всѣхъ Стыхъ:
и Православїю во пользу душевную и телесную:
вашей тѣне велможности яко попеченїе и
мудрему ѡсемъ, ко воздаянїе часѣ
же ѿ Бга наземлѝ многодѣнствїемъ, и
телесны здравїемъ, и благо получїемъ, и
благо поспѣшїемъ въвсемъ: вне́жевѣч
ни благъ наслѣдїе. Припадаемъ и доносѧ
тѣне велмо́жности вашеа, с книжицею сею
именова́ной Грамматикою, по повеле
нїю вашему ниже тѵпом изобра
женною, и просимъ намъ
трудившимса мативъ
буди.

тѣне велмо́жности вашеа нижа́нш
Бгомолецъ смерены и ієромонахъ
Андімъ Тѵпографъ.

სლავური გრამატიკის წინასიტყვაობას
ხელს აწერს „ანთიმ ტიპოგრაფი“
(მესტამბე ანთიმი)

მე მაშინვე გავიფიქრე: უსათუოდ სამეფო ეგზემპლარება თვით ვახტანგის მიერ გამოგზავნილი მეთქი: ჩემი ეჭვი გამართლდა. წიგნში ვნახე ჩაკრული რუმინული დამწერლობით თვით ანთიმის მიერ ხელმოწერილი ფურცელი. ეს რუმინული ჩანაწერები იქვე ვათარგმნინე რუსულად.

მომყავს ქართული თარგმანი:

„ესე წმინდა წიგნი (სახარება) ეძღვნება მაღალს გოსპოდარს. ეს წიგნი ახალი ნაყოფია, რომელიც აღორძინდა ივერიის მიწაზე შენი შეწევნით და ესე მიწა გამდიდრდა თავისი ბეჭდური სიტყვით. ისევე, როგორც გამდიდრდა ბეჭდური სიტყვით არაბეთი, ელადა და უნგრო-ვლახეთი.

როგორც სამოთხიდან გამომდინარეობდნენ მდინარენი ფისონი, გეონი, ტიგროსი და ეფრატი, რომელნიც ამდიდრებდნენ მიწას ნაყოფიერებით, მაგრამ ხან ზიანიც მოჰქონდათ, ასევე შენის დახმარებით გაიფურჩქნა სტამბური სიტყვა ამ ოთხს ქვეყანაში, მოჰქონდა რა მხოლოდ სარგებლობა ამ ქვეყნებისათვის, ამისათვის სახელი შენი იცხოვრებს საუკუნეებში.

მაისის 28, 1710 წელი.

უაღრესად შენი ერთგული და მუდამ შენზე მლოცველი
ანთიმ, მიტროპოლიტი უნგრო-ვლახეთისა.“

ჩემის აზრით, ეს ეგზემპლარები ვახტანგს თბილისიდან გამოუგზავნია ანთიმისათვის და ვლახეთის გოსპოდარისათვის კონსტანტინე ბრანკოვანუ ბესარაბისათვის, ხოლო თვით ანთიმს გადაუცია რა უკანასკნელისათვის, ეს საძღვნო ხოტბა დაუწერია, მაგრამ მალე ჩემი გაკვირვება დიდმა სიხარულმა შეცვალა, როცა შევნიშნე სახარებაში ხუცურად დაბეჭდილი რაღაც პატარა პოემა.

ამ ცამეტ ტაეპოვან, რუსთველური შაირით დაწერილ პოემის კაბადონის ქვეშ დარჩენილია ძველი რუმინული წარწერა. წიგნის ყდაში ჩასმის დროს ბოლოში წაჭრილი წარწერა ამბობს: ლექსები, რომლებიც დაბეჭდილია მისი უმაღლესობის ვოევოდას და პატრიარქის საქებრად, რათა ისინი იყოს გადაცემული და სხვა... ვფიქრობ, ეს წარწერა თბილისში უნდა იყოს შესრულებული, თვით მესტამბე მიხაილს უნდა ეკუთვნოდეს და ერთგვარ თავმოსაწონებლად უნდა იყოს გამოგზავნილი თბილისიდან ბუქარესტში. მიხაილი აცნობებს თავისიანებს, რომ მათთვის უცხო ენაზე დაწერილი ლექსი მთავრისა და პატრიარქის ქებას წარმოადგენს და თხოულობს, რათა ეს ამბავი ადრესატებს გადასცენ.

მოგვყავს ამ დღემდე უცნობი პატარა პოემის ნაწყვეტი თბილისში სტამბის დაარსების შესახებ:

. . . . . . .

3 პატრიარქსა წიგნი ჰკადრა, საქებელი, არ უწესო:
„უმჯობესო მოციქულო, ქრისტეანეთ მამა, მჭყემსო,
მისო მსგავსო, ქრისტეს ძალით ვინც რომ ცეცხლით ვერ დასწვესო,
და ერთსა სტამბის ხელოვანსა გთხოვთ, აქ მინდა დავაწესო“.

4 თქვა პატრიარქმა ხრისანთემ: „თურმე უცნია მესია,
ქრისტეს მცნება და დიდება მის გულსა დანათესია,
სწადიან მოციქულობა, ნინოსგან უკეთესია“, —
და ვლახეთს გაგზავნა ჩაფარი, როგორც რიგი და წესია.

5 ვლახთა მეფეს შეუთვალა: „მაღალო და კარგად ზრდილო.
ქრისტეს სჯულის დამჭირველო, სულიერო ჩემო შვილო,
თქვენცა ნახეთ წიგნი ესე, მართალი და უსაცილო,
და სჯულისათვის შესამატი, განა საქმე სათაკილო?

6 ვახტანგს უხმია მესტამბე, მეფეა ქართლის მპყრობელი,
ქრისტეს ქადაგი მორწმუნე, მტერთაგან შეუპყრობელი,
მიბოძე ერთი ოსტატი, ჭკვიანი, მისანდობელი,
და გავგზავნო, საქმე შევმატო ქვეყნისა შესამკობელი“.

7 მან მეფემან წიგნი ნახა, ყველა ტკბილად გაიგონა,
კაცი იხმო ხელოვანი, თავი არას დაიღონა,
რაც პატრიარქს ქება უთქომს, ისრე ღირსი არ მეგონა, —
და სწრაფად წადი, ემსახურე, თქვა, მეცა ვარ ქრისტეს მონა!

8 უბრძანა ერთსა ოსტატსა, მუნ ჰყვანდა თანამზრახველად,
გონიერი და ჭკვიანი, მიხაილ ერქვა სახელად:
„წადი, პატრიარქს ეახელ, თვით კარგად გიცნობს ვლახელად,
და გზასა ნუ შეუზარდები, მამაცად იყავ და ხელად“.

9 პატრიარქმა გამოგზავნა აქ მიხაილ კარგად ზრდილი,
კარგად სტამბის გამომღები, ჭკვიანი და გამოცდილი,
რა მოვიდა, მეფემ ნახა, შეიყვარა, ვითა შვილი,
და თქვა: „შემიმკობს ქვეყანასა, გაანათლებს, ვითა ცვილი“.

10 რა მიხაილ მეფე ნახა, ჰკადრა: დიდად გავიხარე,
ვიცი გფარავს ძალი ღმრთისა, მისთვის ნათობ, ვითა მთვარე,
რასაც ბრძანებ, ყველა ძალ-მიც, მე ვარ თქვენი მოსახმარე,
და გავამრავლებ საღმრთოს წიგნსა, აივსების ყოვლი არე.

11 „მე ოსტატი რა აქ მოველ და ხელმწიფე ვახტანგ ვნახე,
რაცა ბრძანა, აგრეცა ვქენ, არ ვისვენე, არც ვიახე,
ქრისტეს დიდი სასწაული ყველა ბეჭდით გამოვსახე.
და ჩემი აქეთ გამოგზავნა არც ვლახთ მეფეს დაუძრახე.

12 სტამბა გასრულდა, გათავდა, რაც იყო მისი წესები,
ნება მიეცა ქართველთა სულთაგან უამესები,
რიგი შეიქმნა სჯულისა, მეორედ დანათესები,
და სხვაც გარდაცვლილან მეფენი, რომ ვერ უქნიათ ესები“!

13 მეფეს ტკბილად გაეცინა, რა მიხაილ ესე ჰკადრა,
„საქართველოს შესამატი ამისთანა ვპოვე სად რა?
საქმე ძნელად საშოვნელი ღმერთმან ასრე გამიადრა,
და მისი ტკბილი მოწყალება საფარველად გამიჩადრა“.

ამ პოემიდან მშვენივრად ირკვევა ანთიმის როლი. ვახტანგი სთხოვს სტამბის ხელოვან კაცს სწორედ ანთიმის აღმზრდელს. თავის მხრივ პატრიარქი სწორედ ვლახეთში გზავნის კაცს, რადგან იქ თავისი აღზრდილი ანთიმი ეგულება. ხოლო საქართველოში, როგორც ქვემოთ დავინახავთ, გაიგზავნება თვით ანთიმის მოწაფე მიხაილი.

რუმინეთში მე ვეძებდი აგრეთვე თბილისის პირველი სტამბის მუშაკის მიხაილ უნგრო-ვლახელის ბიოგრაფიულ მასალებს.

საბედნიეროდ, 1936 წ. გამოცემულ დიდ კრებულში, რომელსაც ეწოდება „ბერძნული დოკუმენტები რუმინეთის ისტორიისათვის“, 18 იანვარს, ჩემმა რუმინელმა მეგობრებმა აკადემიის ბიბლიოთეკიდან, ჩემი დაჟინებითი თხოვნის პასუხად მიპოვეს ანთიმის წერილი იერუსალიმის პატრიარქ ქრისანთესადმი, რომელიც დათარიღებულია 1713 წლის 6 აპრილით.

„ჩემო ხელმწიფეო, შენი ლოცვა-კურთხევით ივერიაში წარგზავნილი მოწაფე ჩემი, სტამბის ხელოვანი მიხაილ ერთი წელიწადია, რაც ივერიიდან წამოვიდა და ძალიან დიდხანს მოუნდა გზას სატახტო ქალაქამდე (იგულისხმება ბუქარესტი), შენი ლოცვით ჯანმთელად ჩამოვიდა. მოისურვა რა უფრო კარგად დაეუფლოს სტამბის ხელობას, ამიტომ ჰოლანდიაში წავიდა. რამდენი ხანი დარჩება იქ, არ ვიცი“. (იხ. ბერძნული დოკუმენტები რუმინეთის ისტორიისათვის. ტ. 14, ნაწ. 3, ბუქარესტი, 1936 წ. გამოცემა.).

ეს პირველხარისხოვანი დოკუმენტი მრავლის მეტყველია. იგი მშვენივრად გვიდასტურებს ანთიმის მონაწილეობას პირველ ქართულ-ეროვნულ სტამბის დაარსებაში. აქედან ნათლად ჩანს, რომ მიხაილ უნგრო-ვლახელი ანთიმის მოწაფე ყოფილა და მის მიერ საქართველოში გაგზავნილი. როცა რუმინეთის მეცნიერებათა აკადემიის ბიბლიოთეკაში, ანთიმის მიერ დაბეჭდილ წიგნებს ვათვალიერებდი, ყურადღება მივაქციე ანთიმის მიერ, 1696 წ. 21 მაისს, სნაგოვში დაბეჭდილ რუმინულს ტ ი პ ი კ ო ნ ს, რომლის წინასიტყვაობაში ვინმე „ტიპოგრაფი მიხაი“ მოწაფური მოკრძალებით მიმართავს ანთიმს და დასძენს, რომ „სტამბის ხელობა შენგან ვისწავლეო“. აი, სწორედ ეს მიხაი, რომელიც ჯერ კიდევ სნაგოვის პერიოდში ანთიმის მოწაფედ ითვლებოდა, უნდა იყოს ის ცნობილი მესტამბე მიხაილ უნგრო-ვლახელი, რომელმაც მხურვალის გულით იმუშავა თბილისის პირველ ქართულ ეროვნულ სტამბაში.

ანთიმს სხვა მოწაფეებიც ჰყოლია. მაგალითად, გიორგი რადოვიჩი, რომელმაც ბუქარესტში დაბეჭდა ანთიმის საეკლესიო ქადაგებანი.

რატომ არსად იხსენიება ანთიმი ოფიციალურად, როგორც თბილისის სტამბის გამმართველი? ცხადია, თურქების შიშით. „მათი მორიდებით თვით რუმინეთის მატიანეები ან მხოლოდ ხელნაწერების სახით გადადიოდა ხელიდან ხელში, ან იბეჭდებოდა დიდი ხნის შემდეგ“-ო, გადმოგვცემს მეისტორიე მ. როლერი. ცხადია, თურქებთან, რუმინეთის მღვდელმთავარი უფრო ფრთხილი და მორიდებული უნდა ყოფილიყო. იგი ვერც ერთ შემთხვევაში ვერ გაამხელდა თავის კავშირს ქართლის მეფე ვახტანგთან, რომელიც რუსეთის ორიენტაციის მიმდევარი იყო ანთიმის მსგავსად.

წამოსვლის წინა დღეებში მე ვინახულე ანთიმის მიერ საკუთარ ხარჯზე აშენებული ტაძარი, სადაც ზოგი რამ მისი ნამუშაკევი მელოდებოდა.

15 იანვარს დილის 10 საათზე ფოტოგრაფს გადავაღებინე თვით ტაძარი, მისი ჩუქურთმები, ასევე ანთიმის პორტრეტი, რომელიც ტაძრის მუზეუმის დარბაზშია გამოფენილი.

* *

ამრიგად ირკვევა, რომ ქართული ეროვნული სტამბის დაარსება თბილისში ქართველი კაცის ამაგი ყოფილა და არა ვლახი ოსტატისა, რომელიც თავის მხრივ იყო გაწვრთნილი მოწაფე ქართველი მოღვაწის, სპეციალისტის, ანთიმ ივერიელისა.

მოტაცებულმა, გაყიდულმა, გადახვეწილმა ქართველმა, თავისი ქვეყნისათვის სამუდამოდ დაკარგულმა, მაინც შესძლო თავისი ნიჭი განევითარებინა, ემსახურნა როგორც თავისი სამშობლოსათვის, ისე რუმინელი ხალხისათვის, რომელიც აფასებს მას, როგორც თავის დიდ პატრიოტსა და წარჩინებულ მოღვაწეს.



ანთიმ ივერიელის სახახლე

# გიგო გაბაშვილი



ახალი ქართული რეალისტური მხატვრობის ფუძემდებელი, გიგო ივანეს-ძე გაბაშვილი, დაიბადა 1862 წ. 9 ნოემბერს, ქ. თბილისში.

პირველდაწყებითი სამხატვრო განათლება გ. გაბაშვილმა მხატვარ კეპპენის სტუდიაში მიიღო. 1886 წელს იგი თავისუფალ მსმენელად იქნა ჩარიცხული პეტერბურგის სამხატვრო აკადემიაში.

1891 წელს, იანვარში, გ. გაბაშვილმა ქართველ საზოგადოებას თავისი ნამუშევრების გამოფენა უჩვენა. გამოფენაზე წარმოდგენილი იყო 90-მდე მხატვრული ტილო.

1891—1893 წლებში ძხატვარმა დიდ შემოქმედებით წარმატებებს მიაღწია. ამ პერიოდში იგი ხატავს თბილისის და მისი ახლო მიდამოების სურათებს. ასეთებია, მაგალითად „წვიმის შემდეგ", რომელიც მანგლისის ერთ-ერთ ქუჩას ასახავს, „ჩაის გამყიდველი", „აღმოსავლური სიძველეების სავაჭრო დუქანი", „მოლა" და „სამი მოქალაქე". ყველა ამ სურათის თემები დიდი რეალისტური გრძნობითაა გახსნილი.

1894 წელს გ. გაბაშვილი შევიდა მიუნხენის აკადემიაში, რომელიც სამი წლის შემდეგ დაამთავრა.

1894 წელს გაბაშვილმა იმოგზაურა შუა აზიაში, სადაც მრავალი საყურადღებო ჟანრული სურათი დახატა ქ. სამარყანდისა და ქ. ბუხარის ცხოვრებიდან. მათგან განსაკუთრებით აღსანიშნავია „ბაზარი სამარყანდში", „რეგისტანის მოედანი", ბუხარელ მოქალაქეთა პორტრეტები და სხვ.

1898 წელს გაბაშვილმა იმოგზაურა საქართველოს მთიან რაიონებში და შექმნა ბრწყინვალე სურათები. ამ პერიოდის ნამუშევარია გაბაშვილის სურათიც „სადარაჯოზე", რომელიც „დროშის" ამ ნომერში იბეჭდება.

ჩვენში კარგად ცნობილია გ. გაბაშვილის სურათი—„ალავერდობა", რომელიც წარმოადგენს მრავალფიგუროვან კომპოზიციას. მასში დიდი მხატვრული გრძნობითაა გადმოცემული ყოველი ფიგურა, დეტალი თუ პეიზაჟი. გ. გაბაშვილი ფერწერული პორტრეტის დიდი ოსტატია. მისთვის ამ ჟანრში დამახასიათებელია კომპოზიციების დიდი ალლო. ასეთებია გაბაშვილის ავტოპორტრეტები, დედის პორტრეტი, დეროლას პორტრეტი, ი. ჭავჭავაძის პორტრეტი, სამი გენერლის პორტრეტი, გენერალ გ. ერისთავის პორტრეტი და სხვ.

ფრიად დიდია გაბაშვილის დამსახურება ქართველ საბჭოთა მხატვრების აღზრდის საქმეში. სიცოცხლის უკანასკნელ დღემდე (1936) იგი დაუღალავად მუშაობდა სამხატვრო აკადემიაში ფერწერის პროფესორად.

გ. გაბაშვილის მემკვიდრეობა დაცულია საქართველოს ხელოვნების მუზეუმში, აღმოსავლეთის ხალხთა ხელოვნების მოსკოვის მუზეუმში და საზღვარგარეთის კერძო კოლექციებში.

შ. ქვასხვაძე

# რუსული გამომგონებლობის ისტორიიდან

შოთა ხანთაძე

ქ. ლენინგრადში, სალტიკოვ-შჩედრინის სახელობის საჯარო ბიბლიოთეკის ხელნაწერთა განყოფილებაში, დაცულია იოანე ბატონიშვილისეული ქართული ხელნაწერების კოლექცია. მეცნიერ ბატონიშვილს დიდი გულმოდგინეობით შეუკრებია ქართული საერო და საეკლესიო მწერლობის ძეგლები, ზოგი მათგანი გულდასმით გადაუწერია, ზოგი კი ორიგინალის სახით დაუცავს.

ვათვალიერებთ ამ ხელნაწერებს და გვაოცებს იოანეს შრომისუნარიანობა, მისი ინტერესების მრავალმხრივობა, მისი დიდი სიყვარული რუსული მწერლობისადმი: მას უთარგმნია დერჟავინის „ოდა", რუსეთის ისტორია (გამოცემული 1799 წ.) და სხვა ძეგლები. განსაკუთრებით ბევრია ლექსიკოგრაფიული ჩანაწერები, იოანე ბატონიშვილი საფუძვლიანად ემზადებოდა რუსულ-ქართული ლექსიკონისა და ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონების შესადგენად.

აი, ხელნაწერი № 170, სხვადასხვა „ლიტერატურულ სტატიათა შეკრება", ფურცელი № 47, ვკითხულობთ ერთ ჩანაწერს: „წელსა 1803, აგვისტოსა 26 დღესა, კვირასა ვიხილე დროგი ერთი, რომელიც იყო ორის კაცის ჩასაჯდომი და ერთის ცხენის მატარებელისა"...

რითი უნდა დაეინტერესებინა ამ „დროგს" იოანე? გულდასმით ვეცნობით ჩანაწერს. „დროგი" მართლაც საყურადღებო და საინტერესო აღმოჩნდა; უკანა მხარეს მას გაკეთებული ჰქონდა მექანიზმი, რომელიც „აჩვენებდა ზომასა მიწისასა ანუ გზასა", ეს ხომ გზის მზომი ხელსაწყო-სპიდომეტრის წინაპარია! იოანე განაგრძობს: ამ „დროგს" „უკანით კერძო... აქუნდა ექვსი მრგუალი ფარგალი მოვლებული მზგავსად საათისა", რომლითაც ზომავდნენ და აჩვენებდნენ განვლილ მანძილს. პირველი 1000 საჟენს, მეორე—20 ვერსს და ასე შემდეგ ორი ათას ვერსამდე. მექანიზმს უკავშირდებოდა აგრეთვე ზარი, რომელიც ყოველი ვერსის შესრულების შემდეგ „მსწრაფლ დაჰკვრიდის... მზგავსად საათისა". ეს მექანიზმი დაკავშირებული იყო მარჯვენა თვალთან, მის ბრუნვას მოჰყავდა იგი მოქმედებაში, მაგრამ „დროგის" თავისებურება ამით არ ამოიწურებოდა. მარცხენა თვალთან მას დაკავშირებული ჰქონდა ორგანი, რომელიც იწყებდა დაკვრას „ოდეს მარცხენა თვალი დაბრუნდის".

მთელი ამ მექანიზმის გამოსათიშავად „დროგზე" იყო „ბურლი ერთი, რომელიც გაუყრის და მსწრაფლ დადგიან ესენი მოქმედებათა მათგან". შესანიშნავი მექანიზმია! და აი, საუკუნენახევრის წინად რუსეთში ასეთი მექანიზმი გაუკეთებიათ.

ვის გაუკეთებია იგი? იოანეს ცნობა ამის შესახებ განსაკუთრებით საინტერესოა: „ესე დროგი გაეკეთებინა ერთს ციმბირელს კაცსა, რომელსა სახელი ერქუა გიორგი და მოიტანა მოსკოვს".

ამ მექანიზმს მოსკოველ მოხუცებულ ხელოსან კაცთა დიდი აღტაცება გამოუწვევია, მათ ძლიერ მოსწონებიათ იგი და უთქვამთ: „ვითარმედ პირველი ხელოვნება არისო მთელსა ქვეყანასა ზედაო, რომ არვის ასმია ამგვარი ხელოვნება ამას ზედა".

ჩანაწერის ბოლოში იოანე ბატონიშვილი შენიშნავს: „ჩვენც დიდად გვიკვირდა,. მოგვეწონა უცოდინარის კაცისაგან, რომელსაც თავისი გონებით გაეკეთებინა".

უსაზღვროა დიდი რუსი ხალხის შემოქმედებითი უნარი. ციმბირის ტრამალებში, უსწავლელი რუსი გლეხი, საუკუნენახევრის წინად ქმნის მექანიზმს, რომელიც თანამედროვე სპიდომეტრის ფუნქციებს ასრულებს. საინტერესოა ისიც, რომ სახელოვანმა ქართველმა მეცნიერმა შემოგვინახა ცნობა ამ მოვლენის შესახებ. რუსული გამომგონებლობის ისტორიიდან მრავალი ანალოგიური ფაქტი ჯერ კიდევ ელის დღის სინათლეზე გამოტანას.

# „დროშის" № 1-ში მოთავსებული კროსვორდის პასუხი

**ჰორიზონტალურად:**

1. ბზე. 3. ლატავრა. 7. ვადა. 9. ეტლი. 10. უმი. 11 ბუზი. 14. ვაკე. 17. ყუა. 18. ჩაი. 20. გორაკი. 22. შვილდი. 23. უმადური. 24. ოპერა. 29. ფითრი. 31. არგენტინა. 34. ექსკურსია. 36. ყური. 37. იმედი. 38. სკრა. 40. თხუნელა. 41. მიზრაფი. 42. ურნა. 43. ურემი. 45. ერბო. 46. ასტრახანი. 47. ინსტიტუტი. 49. ციყვი. 51. არმია. 54. გრაკალი. 57. ქარქაში. 58. ჯავშანი. 59. უთო. 60. ოსი. 61. იფნა. 63. თარი. 65. ობი. 67. იარა. 68. ოქრო. 71. იბარური. 72. ინა.

**ვერტიკალურად:**

1. ბატი. 2. ეშვი. 3. ლუდი. 4. აუტი. 5. ავაზაკი. 6. ნიდაყვი. 8. ძმა. 11. ბარი. 12. დუშმანი. 13. პატრუქი. 15. ეული. 16.აგარა. 19. მისია. 21. ოდა. 25. პერანგი. 26. არახისი. 27. მეანდრი. 28. არარატი. 29. ფირფიტა. 30. რეკორდი. 32. ტალახი. 33. ამური. 34. ედემი. 35. კვირტი. 36. ყრუ. 39. ახო. 43. უნგრეთი — სახალხო დემოკრატიული რესპუბლიკა. 44. ინგლისი. 46. ავდარი. 48. ირონია. 50. მკა. 52. აქტი. 53. უშანგი. 55. ყაყაჩო. 56. ეშხი. 62. ყბა. 64. ორბი. 66. ოქმი. 69. წამი. 70. ბუდა.

## კესონის მოლაპარაკება და აქციების კურსი.

ნახ. გ. ლომიძისა



# ჭადრაკი

**სპორტის დამსახურებული ოსტატის ვ. გოგლიძის რედაქციით.**

17 სექტემბერს თბილისში გაიხსნა საჭადრაკო ტურნირი, რომელშიც მონაწილეობდნენ საბჭოთა კავშირის უძლიერესი ოსტატები: ლიპნიცკი, ბანიკი (კიევი), არონინი, პეტროსიანი, კამიშევი (მოსკოვი), ფურმანი, გოლდბერგი (ლენინგრადი), ნოვოტელნოვი (გროზნო), კასპარიანი (ერევანი) და სუეტინი (ტულა). თბილისიდან ტურნირში მონაწილეობას იღებდნენ ოსტატობის კანდიდატები: ფირცხალავა, შიშოვი, ბლაგიძე, ქარსელაძე, გურგენიძე და გიორგაძე. ეს შეჯიბრება სპორტულად მეტად საინტერესო აღმოჩნდა.

ვბეჭდავთ ახალგაზრდა თბილისელი მოჭადრაკის გურგენიძისა და საერთაშორისო ოსტატის ნოვოტელნოვის პარტიას, რომელიც გათამაშდა მე-6 **ტურში.**

თეთრები — გურგენიძე, შავები - ნოვოტელნოვი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 1. | მ b1 — c3 | d7 — d5 | 6. | g2 — g3 | კ f8 — g7 |
| 2. | e2 — e4 | d5 — d4 | 7. | კ f1 — g2 | მ g8 — f6 |
| 3. | მ c3 — e2 | c7 — c5 | 8. | h2 — h3 | e7 — e5 |
| 4. | d2 — d3 | მ b8 — c6 | 9. | მ g1 — f3 | 0 — 0 |
| 5. | f2 — f4 | g7 — g6 | 10. | 0 — 0 | მ f6 — e8 |

(ოსტატი ნოვოტელნოვი ამის შემდეგ აპირებდა f7 — f5 -ის თამაშს, ამით ის გააქტივებდა თავის პოზიციას, მაგრამ მისი მოწინააღმდეგე, პაიკის დროებითი შეწირვით, გზას ულობავს ამ სვლას)

11. f4 — f5! მ e8 — d6?

(სუსტი სვლაა, რომელიც თეთრებს ძლიერი იერიშის განვითარების საშუალებას აძლევს მეფის ფლანგზე.

უფრო კარგი იქნებოდა: 11. ...g : f5 12. e : f5 კ : f5 13. მ : e5 მ : e5 14. ე : f5 მ d6
და თამაშიც თანაბრად წარიმართებოდა)

12. g3 — g4 კ c8 — d7
13. მ e2 — g3 ე a8 — c8

მოწინააღმდეგის მოსალოდნელი იერიშის საწინააღმდეგოდ, შავები აქტივებენ თამაშს ლაზიერის ფლანგზე. თამაშის სხვა გეგმა მათ არ გააჩნიათ.

14. ე f1 — f2 c5 — c4
15. კ g2 — f1 • • •

(თეთრები სწორად იქცევიან, როდესაც არ იღებენ c4 პაიკს, რადგან ამას მოჰყვებოდა შავების მდგომარეობის გაუმჯობესება, მაგალითად, 15. d : c4 მ : c4 16. g5 f6 და შავები მიიღებდნენ კონტრთამაშის შესაძლებლობას)

15. • • • მ c6 — b4
16. c2 — c3 • • •

დაფაზე გაკეთებულია მხოლოდ 16 სვლა, პოზიცია კი განსაკუთრებით მწვავე შეიქმნა. შემდგომი სვლით გურგენიძე თამამად მიდის პარტიის გართულებისაკენ.

16. • • • d4 : c3
17. d3 — d4! • • •

გონებამახვილი სვლაა, რომელიც აქტივებს თეთრ პაიკებს

17. • • • c3 — c2

(შავებისთვის არახელსაყრელი იქნებოდა 17. • • • e : d4 იმიტომ რომ ამას მოჰყვებოდა 18. b : c3)

18. ლ d1 — e1 მ b4 — d3
19. კ f1 : d3 c4 : d3
**20. d4 : e5** • •

თეთრებმა მიაღწიეს თავიანთ მიზანს — მათი პაიკები ამოძრავდნენ. იერიშის მოსაგერიებლად ნოვოტელნოვს უხდება ფიგურის შეწირვა

20. • • • მ d6 — c4
21. f5 — f6 კ g7 — h8
22. b2 — b3 მ c4 : e5

(სხვა გამოსავალი შავებს არა აქვთ, თუ ისინი ითამაშებენ 22. . . . მ b6 მაშინ 23. ლ d2, მუქარით 24. ლ h6 და მ g5)

23. მ f3 : e5 კ h8 : f6
24. კ c1 — b2 კ d7 — b5
25. ლ e1 — d2 ლ d8 — d6
26. ე f2 : f6 • • •

სხვა გამოსავალი არ არის. მხედარს უკან დახევა არ შეუძლია, რადგანაც g3-ზე ფიგურა იკარგება.

26. • • • ლ d6 : f6
27. მფ g1 — h2 ლ f6 — d6
28. g4 — g5 f7 — f6?

(უფრო კარგი იქნებოდა 28. • • • h5, რომელიც თეთრებს შემდგომი სვლის შესაძლებლობას უკარგავს.)

29. მ e5 — g4! h7 — h5

(თუ 29. • • • f ; g5, მაშინ 30. მ h6 და შავები შაჰათს მიიღებდნენ)

30. e4 – e5! ლ d6 — b6

(არ შეიძლებოდა 30. • • • f : e5, რადგანაც 31. კ : e5 შემდეგ კი 32. მ h6 ×)

31. მ g4 : f6 + ე f8 : f6
32. g5 : f6 მფ g8 — f7
33. მ g3 — e4

ამ წასაგებ მდგომარეობაში ნოვოტელნოვმა დროს გადააცილა. გურგენიძემ კარგად ჩაატარა პარტია.

# კროსვორდი



ჰორიზონტალურად:

4. საერთაშორისო ხელშეკრულება. 8. დიდი რუსი მწერალი. 9. ტბა სომხეთში. 11. სასპორტო მოედანი. 13. სახალხო მიმართვა. 14. ახალი აზრის ან იდეის ავტორი, განმახორციელებელი. 15. საპორტო ქალაქი იტალიაში. 16. კაპიტალისტურ მონობაში მყოფი სახელმწიფო. 18. შეგრძნების ერთ-ერთი სახე. 21. ლიტერატურის ერთ-ერთი ჟანრი. 23. გამომწვარი ქვანახშირი. 25. სახელმწიფო ევროპაში, 28. ფრინველი. 29. ტროპიკული მცენარე, რომლის ნაყოფისაგანაც მზადდება შოკოლადი. 30. პიესა, რომელიც პირველად დაიდგა ქართულ სცენაზე. 31. ნიშანი მორზეს ანბანში. 33. ატმოსფეროს მდგომარეობა განსაზღვრულ დროსა და ადგილზე. 36. სპორტული ვარჯიშის ნაწილი. 37. ფანჯრის საფარი ფიცარი. 40. ქსოვილის კიდეებზე მოვლებული ნაირსახოვანი ზოლი. 41. ,,ახალგაზრდა გვარდიის'' ერთ-ერთი გმირი. 44. დაწესებულების ძირითადი შემადგენლობა. 47. ხელოვნური სასუქი. 49. მუსიკალური ნაწარმოები ოთხი ინსტრუმენტისათვის. 50. მაუწყებელი, ანუ დამარწმუნებელი საბუთი 51. მდინარე საბჭოთა კავშირში. 52. ჯოგი. 53. საშენი მასალა.

ვერტიკალურად:

1. მინერალური წყალი საქართველოში. 2. საბჭოთა კავშირის ეროვნების წარმომადგენელი. 3. სპორტული თამაშობა. 4. ფრანგი მხატვარი, მშვიდობის საერთაშორისო პრემიის ლაურეატი. 5. ქართული ცხენოსნური სპორტის სახე. 6. გალეწილი პურის გორა. 7. ცოცხალი ორგანიზმის შემსწავლელი მეცნიერება. 10. პროზაული ნაწარმოების ერთ-ერთი სახე. 12. ტექნიკური კულტურა. 17. ადმინისტრაციული დანაყოფი. 19. ავადმყოფობა. 20. შეჯვარებული მცენარე ან ცხოველი. 21. გეგმის წინასწარი მონახაზი. 22. სპორტული იარაღი ტანვარჯიშში. 23. სპორტული წვრთნის დონე. 24. მიმართულების შემცვლელი მოწყობილობა. 26. მოკავშირე რესპუბლიკა. 27. არტერია ადამიანის ორგანიზმში. 32. სისხლის მწოვარა ბუზი აფრიკაში. 34. ღრმა ადგილი მდინარეში. 35. ატომგულის შემადგენელი ნაწილი. 38. ნახაზებისა და სურათების გამამრავლებელი ხელსაწყო. 39. კარტოფილის ჯიშის მსგავსი მცენარე. 42. მქუხარე ტაში. 43. წყლის მოსაშვები მოწყობილობა. 45. მევენახეობის საბჭოთა მეურნეობა სიღნაღის რაიონში. 46. ლითონის დამამუშავებელი მანქანა. 48. თბილისის ,,დინამოს'' ფეხბურთელი.

ამ ნომერში მოთავსებულია ფერადი რეპროდუქციები: რ. სტურუა — ჭიათურის თეატრის პლაფონი ,,გამარჯვება'' (დეტალი), ვ. თოფურიძე — ქანდაკება ,,გამარჯვება'', თ. აბაკელია — მარქს-ენგელს ლენინის ინსტიტუტის საქართველოს ფილიალის შენობის ფრიზი — ბარელიეფის დეტალები და გ. გაბაშვილი — სურათი ,,სადარაჯოზე'' (1898).

პასუხისმგებელი რედაქტორი — გრიგოლ აბაშიძე

სარედაქციო კოლეგია: შ. ბუაჩიძე, შ. გვინჩიძე (პ/მგ. მდივანი), ი. გიგინეიშვილი, დ. დოლიძე, მ. საკაშვილი, ი. ციციშვილი, ვ. ჭელიძე, უ. ჯაფარიძე.

ნომერი გააფორმა ალ. ბანძელაძემ

რედაქციის მისამართი: თბილისი, ლენინის ქ., № 14, გამომცემლობა „კომუნისტი“. | ფერადი რეპროდუქციები და ტექსტი დაბეჭდილია ფოტოცინკოგრაფიაში

ხელმოწერილია დასაბეჭდად 25/X – 51 წ. გამომც. № 58 ნაბეჭდი ფურც. 3 1/2, ტირაჟი — 15.000 შეკვ. № 731 უე 05136

Ежемесячный общественно-политический и литературно-художественный журнал „Дроша“ (на грузинском языке)

ბეჭდვითი სიტყვის კომბინატი. თბილისი, მარჯანიშვილის ქ., № 5.



ეროვნული ბიბლიოთეკა

ფასი 3 მან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

3 25/15

